ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 ნოემბერი, 2020 №244 (8508) ფასი: 60 თეთრი

გლდანის კარფურში მამაკაცმა ყოფილ ცოლს ყელში დანა დაარტყა

გვ.5

მამუკა მდინარაძე იუსტიციის მინისტრი ხდება?!

გვ.2

ეკატერინე ტიკარაძეს ამირან გოგიტიძე შეცვლის?!

„ხელისუფლებას ფეხზე ჰკიდია ყველაფერი. დიდხანს ვეღარ გაძლებენ“

გვ.3

მამუკა გამყრელიძე: „ამერიკას საქართველო დასაყრდენად სჭირდება, ამიტომ უნდა, პარლამენტმა სრულფასოვნად იფუნქციონიროს“

„თამარ ჭვანიას გადადგომა საკმარისი არ იქნება“

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „სალომე სამადაშვილი ექსტრაორდინარულობით გამოირჩევა და მის სიტყვებს კომენტარს ვერ გავუკეთებ“

„ივანიშვილი თუ გონს არ მოეგება, მძიმე რეალობას მივიღებთ“

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი „ოცნებაში“ იმ ხალხს აკონტროლებს, რომლებიც არ ჩანან“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩვენთან მორიგი ადგილობრივი არჩევნები შემოდგომაზე უწევს. ვადამდელი არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იქნება“

გვ.4

ოკუპირებულ აფხაზეთში ახალი კრიზისია

გვ.4

აფხაზეთში კრიპტოვალუტას დანარჩენი საქართველოს ხარჯზე გამოიმუშავებენ?

ISSN 1987-9385

2 დღეს ახალი შეზღუდვები გამოცხადდება

6 ბელარუსის ეკლესიამ ლუკაშენკო ანათემას გადასცა

5 ლევან ზურაბაშვილს 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა „მოთხოვნები გაგრძელდება, მაგრამ არა ამ ფორმით“

6 სომხეთი აზერბაიჯანს 120-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს მისცემს

„თამარ ჟვანიას გადადგომა საკმარისი არ იქნება“

ნიკა ჩიტაძე: „სალომე სამადაშვილი ექსტრაორდინარულობით გამოირჩევა და მის სიტყვებს კომენტარს ვერ გავუკეთებ“

იაგო ნაცვლიშვილი

რა ასოციაცია გაუჩნდა 21 ნოემბრის არჩევნებით? რა ფენომენია ქართულ პოლიტიკაში ირაკლი კობახიძე? შეინიშნება თუ არა პარლამენტის ბოიკოტთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ნაციონალურ მოძრაობაში და რა გზას ხედავს პოლიტიკური კრიზისის განსამუტტად? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– ვნახეთ მშვიდი და ერთპარტიული მეორე ტური. რა ასოციაციები გაგიჩნდათ?

– რა თქმა უნდა, კომუნისტურ მმართველობასთან გაჩნდა ასოციაციები, როდესაც გადაწყვეტილი იყო ისედაც ყველაფერი. ზოგჯერ იმასაც მიუთითებდნენ ხოლმე, ვისთვის უნდა მიეცათ ხმა, ხანდახან შემოხაზულ ბიულეტენს ურიგებდნენ. აქაც გარკვეული მსგავსება იყო, ვინც მიდიოდა, ხმას ავტომატურად აძლევდა „ქართული ოცნების“ კანდიდატს, იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურად ნაცმოძრაობის კანდიდატებმაც აიღეს რაღაც ხმები. სადაც ის დაწერეს, რომ სუბარმა 164% მიიღო და სხვებმაც 100%-ზე მეტი, ოპოზიციასაც მიაწერდნენ ხმებს.

– იმიტაცია გააკეთეს?

– ალბათ. გახსოვთ ირაკლი კობახიძის განცხადება, სადაც ის ამბობდა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატები ჩუმ-ჩუმად დადიან და მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში მათმა კანდიდატებმაო. იმიტაცია გააკეთეს, თითქოს ოპოზიციაც დაინტერესებულია იმით, რომ ხმები მიიღონ და ისე წარმოაჩინონ, თითქოს ბოიკოტს ხალხის წინაშე აცხადებენ და რეალურად არჩევნებში გამარჯვებით არიან დაინტერესებული. ეს სრული აბსურდია.

– კობახიძეს იმის წარმოჩენა ხომ არ უნდოდა, რომ აი, ოპოზიცია ხმამაღლა კი საუბრობს ბოიკოტზე, მაგრამ ფარული გარიგებებისთვის მზად არის?

– შესაძლებელია. ალბათ, იმის წარმოჩენა უნდოდათ, რომ ოპოზიცია ფარულად ცნობს არჩევნების შედეგებს და იმიტომ დადიან მათი აგიტატორები. ცოტა რთულია, კობახიძის კომენტარებზე შეფასება გააკეთო, ადამიანის, რომელიც აცხადებს, რომ მოკრიმინალო ელემენტების მობილიზებას საარჩევნო უბნებთან ოპოზიცია ახდენდა. ოპოზიციას გადააბრალეს გლდანის ინციდენტი. თურმე ოპოზიცია აყალბებდა არჩევნებს.

– კობახიძე „ოცნების“ წევრებისგანაც კი გამოირჩევა. რა ფენომენია ეს ქართულ პოლიტიკაში?

– სიღრმისეული პრობლემაა, როდესაც ეს ადამიანია მმართველი პარტიის სახე. მას რეალურად არ მოეთხოვა არანაირი პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი, საქართველოში გავრილოვი ჩამოსულიყო და გავრილოვი სწორედ კობახიძის სკამზე იჯდა, ვინაიდან კობახიძე იყო პარლამენტის თავმჯდომარე. კობახიძე თავად გადადგა, მაგრამ პასუხისმგებლობა არ დაეკისრა, როგორც მთავარ შემოქმედს. კობახიძეზე არ მსურს საუბარი იმდენად, რამდენადაც იმაზე, თუ რა პრობლემასთან გვაქვს საქმე. როდესაც კობახიძეა მთავარი ფიგურა, უკვე პრობლემაა ქართველი საზოგადოების, ანუ როდესაც ივანიშვილი გადააქციეს ბელადად. პრობლემა მარტო ბიძინა კი არაა, ბიძინიზმია, კობახიძე კი ივანიშვილის პოზიციის გამხმოვანებელია და არა მარტო.

– თუმცა სხვებისგან მოგვისმენია დათმობისკენ მზადყოფნის სურვილი, იმავე კალაძისგან, მდინარაძისგანაც იყო, მაგრამ კობახიძისგან ასეთი რბილი ტონი არასდროს გვსმენია.

– კალაძე უკვე მეგობრებს უწოდებს მათ, ვისაც ადრე სისხლისმსმელებს უწოდებდა. იგივე გახარიაც. აქედან ჩანს, რომ „ქართული ოცნება“ თვითონაც ჩიხშია და არანაირად არ სურთ ერთპარტიული პარლამენტი, სურთ, მეათე მოწვევის პარლამენტს როგორმე მიეცეს ლეგიტიმაცია.

– ოპოზიციამ რა უნდა გააკეთოს ახლა, აქციები უნდა გააგრძელოს?

– აქციები უნდა გაგრძელდეს, მაგრამ პარალელურად მოლაპარაკებების პროცესიც უნდა არსებობდეს. რეალური მოთხოვნები უნდა იყოს, რაზეც შეიძლება „ქართული ოცნების“ წამოსვლა და ოპოზიციამ ეს უნდა გაითვალისწინოს.

– რა შეიძლება იყოს ასეთი რეალური მოთხოვნა?

– მე პირადად მიმაჩნია, რომ ურთიერთკომპრომისი შეიძლება შედგეს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება, ვთქვათ, სთანხმდება მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას არა 2024 წელს, არამედ 2022 წელს. შესაბამისად, უნდა ჩატარდეს სრულიად პროპორციული სისტემით და მაჟორიტარული უნდა გამოირიცხოს.

– 5%-იანი ბარიერით, როგორც მოქმედ კონსტიტუციაშია ჩაწერილი?

– ის უნდა ჩატარდეს 1%-იანი ბარიერითა და ელექტრონული წესით, ისე, როგორც ესტონეთშია. ჩვენთან ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურად ვერ მონაწილეობს არჩევნებში. მაგალითად, ბევრი ადამიანია ჩამოსული თბილისში რეგიონიდან, ვერ ახერხებს რეგიონში ხმის მისაცემად ჩასვლას და მერე უკან წამოსვლას. ელექტრონულად უფრო გაადვილდება, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.

თუ ასე ჩატარდა, ბევრი ადამიანიც მიიღებს მონაწილეობას და იქ უკვე აღარ იქნება საუბარი საარჩევნო ადმინისტრაციაზე, მის ფორმირებაზე, აღარ იქნება უბნებთან მოკრიმინალო ელემენტების კონცენტრაცია. ამით ნაკლები საფუძველი ექნება ოპოზიციას, რომ გაყალბებაზე ისაუბროს, თუმცა, შესაძლოა, მაინც ისაუბრონ.

– არ მოიგონებენ გაყალბების ახალ მექანიზმს, რომელიც ელექტრონულ სისტემაზე იქნება ადაპტირებული?

– ალბათ, ყველაფერი შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ ისე აღარ იქნება, როდესაც ოქმებში დისბალანსია და არჩევნებში მონაწილეთა და ხმების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა.

– ოპოზიცია ითხოვს თამარ ჟვანიას გადადგომას, მაგრამ მისი გადადგომა საკმარისია?

– მე მგონი, არა, იმიტომ, რომ ის შეიძლება გადადგეს, მაგრამ მოვა სხვა, ვინც ივანიშვილის ნებას გაატარებს. პრობლემაა ისიც, რომ ჟვანიას გარდა 22.000-მდე ადამიანი იყო, რომლებიც კომისიებში იყვნენ.

– ოპოზიცია ჟვანიას გადადგომასთან ერთად თამაშის წესების შეცვლასაც ითხოვს.

– კი, მაგრამ ის 22.000 ადამიანიც უნდა შეცვალო, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციებში იყვნენ წარმოდგენილი. ჟვანია სულ რომ ანგელოზი ყოფილიყო, სხვადასხვა ოლქის წარმომადგენლები თუ აყალბებდნენ არჩევნებს ან არასწორად ადგენდნენ ოქმებს, მაშინ მხოლოდ ერთი ადამიანის გადადგომა სურათს ვერ შეცვლის, თუ სისტემა არ შეიცვალა.

არის ასეთი ვარიანტიც, რომ პარლამენტმა გააგრძელოს საქმიანობა, ვთქვათ, ერთი წლით, მაგრამ მომავალი წლის შემოდგომაზე ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები, ოღონდ ძალაში შევიდეს საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაუქმდება მაჟორიტარული სისტემა.

პროგრესი იყო ის, რომ 73 მაჟორიტარის ნაცვლად 30 მაჟორიტარს ვირჩევდით, მაგრამ ამანაც პრობლემა შექმნა. ეს რომ არ ყოფილიყო, ხმები გადანაწილდებოდა ასე: „ოცნება“ – 48%, ოპოზიცია – 52%, ანუ ამ შემთხვევაში ოპოზიცია იგებდა. გაყალბების პირობებშიც კი მოიგო ოპოზიციამ, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ მაჟორიტარულ ნაწილში „ოცნების“ 13-მა წარმომადგენელმა მოიგო, ხოლო 17 ოლქში მეორე ტური დაინიშნა, ანუ პირველი ტურის შედეგების მიხედვით მაინც „ოცნება“ ფლობდა უმრავლესობას, თორემ, ეს სისტემა რომ არ ყოფილიყო, ოპოზიცია იმ 3-4%-ზე დახუჭავდა თვალს, რომელიც გააყალბეს, რადგან უმრავლესობა მაინც ოპოზიციას ექნებოდა.

ამიტომ არჩევნები ან შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს, ან 2022 წელს ელექტრონული სისტემით. ელექტრონული წესი ნელ-ნელა უნდა დაინერგოს და საოლქო კომისიები გაუქმდეს. ეს ბევრ პრობლემას გადაჭრის.

– ჯერ გრიგოლ ვაშაძის სხვადასხვა შინაარსის განცხადებები მოვისმინეთ, ახლა უკვე სალომე სამადაშვილის ორაზროვან განცხადებებს ვისმენთ. თავად ნაციონალურ მოძრაობაში ხომ არ შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა ბოიკოტთან დაკავშირებით?

– შესაძლებელია. აზრთა სხვადასხვაობა ერთ პარტიაშიც კი მოსალოდნელია. ამაში ვერ ვხედავ დიდ პრობლემას. როდესაც კომუნისტურ პარტიაში არ იყო აზრთა სხვადასხვაობა და ყველა ბელადს ექვემდებარებოდა, იმიტომაც იყო პრობლემა. მე მგონი, აზრთა სხვადასხვაობა უნდა იყოს.

– აზრთა სხვადასხვაობა უნდა იყოს, მაგრამ, გააჩნია, რა დონის და რა დოზის, იმიტომ, რომ გვახსოვს, როგორ დასრულდა ეს აზრთა სხვადასხვაობა ნაცმოძრაობაში 2016 წელს.

– კი ბატონო, მართალს ბრძანებთ, როდესაც ის პროცესი ნაცმოძრაობიდან „ევროპული საქართველოს“ გამოყოფით დასრულდა, თუმცა მაშინ სააკაშვილმა მოუწოდა, რომ არ შესულიყვნენ პარლამენტში, მაგრამ მაშინ ყველა შევიდა.

– კი, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, ნაციონალური მოძრაობის 6 წევრი შევიდოდა თუ არა. ამით სურათი არ იცვლებოდა.

– მერე შეიცვალა ვითარება, როდესაც „ევროპული საქართველო“ გამოეყო. ახლაც, შესაძლოა, არის რაღაც განსხვავებული პოზიციები.

სალომე სამადაშვილის განცხადებებს რაც შეეხება, ამაზე არ გავაკეთებ კომენტარებს, იმიტომ, რომ ეს ქალბატონი ცოტა ექსტრაორდინარულობით გამოირჩევა. ამიტომ ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ. ბატონი გრიგოლი კი გამოცდილი დიპლომატი და ინტელიგენტი კაცია და, შესაძლოა, რეალურად აფასებს ვითარებას. მას ისეთი არაფერი უთქვამს, რომ ამას პარტიაში გაღიზიანება გამოეწვიოს. ის უჭერს მოლაპარაკებას მხარს, მაგრამ მოლაპარაკება ყველა შემთხვევაში უნდა შედგეს.

არასწორია რადიკალურად განცხადება, რომ არ შევალ. კი, შეიძლება, ეს განაცხადო, მაგრამ მაშინ ალტერნატივა რა უნდა იყოს?!

ბატონი ვაშაძე ეძებს სხვადასხვა ალტერნატიულ გზას. მე ასე მგონია.

დღეს ახალი შეზღუდვები გამოცხადდება

დღეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო რეგულაციების გამკაცრების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

პრაიმტაიმის ცნობით, შეიზღუდება ტრანსპორტის მოძრაობა. ასევე, რეგულაციები შეეხება სავაჭრო მოლებსა და ბაზრობებს.

როგორც ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეზღუდვების დაწესება გარდაუვალი იქნება.

– გაიმართება საბჭოს სხდომა და შეზღუდვებთან დაკავშირებით, იქ იქნება გადაწყვეტილება მიღებული. ეპიდვითარებიდან გამომდინარე, გარკვეული წერტილოვანი რეგულაციების გამკაცრება საჭირო იქნება. სადაც არის მეტი სიმჭიდროვე, რა თქმა უნდა, იქ შეზღუდვები გარდაუვალი იქნება. მაღალი სიმჭიდროვე არის საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მოლებში, ბაზრობებზეც. სადაც წესების დაცვა არ ხდება ან არასრულფასოვანია, იქ იქნება უფრო მკაცრი რეგულაციები მიღებული, – განაცხადა ხუნდაძემ.

კითხვას, რამდენ ხანს გაგრძელდება წერტილოვანი შეზღუდვები, ხუნდაძე ასე პასუხობს:

– ეს ყველაფერი დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე. ჩვენ ვართ ახლა ვირუსის მეორე ტალღის პიკურ ფაზაში. დეკემბრის პირველი კვირის ბოლომდე იქნება აღმავალი პერიოდი, შემდეგ იქნება ე.წ. პლატო, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს ვითარება, პროგნოზირება რთულია. მთავარია, რომ დავიცვათ რეგულაციები, არ გავავრცელოთ ინფექცია, რათა კონტაქტები იყოს ნაკლები, – დასძინა დიმიტრი ხუნდაძემ.

მამუკა მდინარაძე იუსტიციის მინისტრი ხდება?!

ეკატერინე ტიკარაძეს ამირან გოგიტიძე შეცვლის?!

თეა წულუკიანის გადეპუტატების შემდეგ არ არის გამორიცხული, იუსტიციის მინისტრის გამოთავისუფლებული სავარძელი მამუკა მდინარაძემ დაიკავოს.

აღნიშნულ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ „ქართულ ოცნებაში“.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ იუსტიციის მინისტრის პორტფელის ჩაბარება პრემიერ გახარიას ნათია მეზვრიშვილისთვის უნდოდა, მაგრამ, იმასაც ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ვერ დაითანხმა.

ნათია მეზვრიშვილმა გუშინ, 23 ნოემბერს, სახელმწიფო კანცელარიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა დატოვა და ინფორმაცია სოციალური ქსელით გაავრცელა.

„13-წლიანი უკიდურესად საინტერესო და გამოწვევებით სავსე საქმიანობის შემდეგ, დღეს დავტოვე საჯარო სამსახური. მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ საჯარო მოხელეს, რომლებთან ერთადაც ბევრი წელი გავატარე. მადლობა ყველას – მთავრობაში, პარლამენტში, პოლიტიკაში თუ პოლიტიკის მიღმა, საერთაშორისო პარტნიორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებსა და ყველას, ვისთანაც ამ პერიოდის განმავლობაში მითანამშრომლია. გამორჩეული მადლობა გიორგი გახარიას, რომელმაც მისთვის სრულიად უცხო ადამიანს ნდობა გამომიცხადა და ბევრი კარგი საქმის კეთების შესაძლებლობა მომცა.

იმედი მაქვს, სადაც არ უნდა ვიყო, შევძლებ ქვეყნის პროგრესისა და წარმატებისთვის სასიკეთო საქმის კეთებას“, – დაწერა ნათია მეზვრიშვილმა ფეისბუქში.

ერთ-ერთი ვერსიით, გადააყენებენ ჯანდაცვის მინისტრსაც. ის, ვინც ეკატერინე ტიკარაძე უნდა შეცვალოს, იმავე სამინისტროს თანამშრომელია.

33 წლის ამირან გოგიტიძე დღემდე სამედიცინო უზრუნველყოფისა და სასწრაფოს გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსია.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ პანდემიასთან ბრძოლაში მთელი მთავრობა დამარცხდა, პასუხისმგებლობა კი გახარიას მინისტრთა კაბინეტმა სრულად უნდა აიღოს. მათი თქმით, ჯანდაცვის მინისტრთან ერთად მთელი მენეჯმენტია შესაცვლელი, რომელმაც მილიონობით ლარი და დრო მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის გაფლანგა.

ეკატერინე ტიკარაძის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს კლინიკების გაერთიანების ხელმძღვანელიც.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებას ფეხზე ჰკიდია ყველაფერი. დიდხანს ვერ გაძლებენ“

მამუკა გამყრელიძე: „ამერიკას საქართველო დასაყრდენად სჭირდება, ამიტომ უნდა, პარლამენტმა სრულფასოვნად იფუნქციონიროს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

– ბატონო მამუკა, არჩევნების მეორე ტურიც დასრულდა. როგორია თქვენი შეფასებები, მარტო აღმოჩნდება „ქართული ოცნება“ პარლამენტში? კულუარებში იმაზეც საუბრობენ, რომ ოპოზიციიდანაც დაითანხმეს ზოგი შესვლაზე. რას იტყვით თქვენ?

– ჯერჯერობით ოპოზიცია ძალიან მყარად დგას, აცხადებენ, ჩვენ არ შევალთ, სანამ არ იქნება შესაბამისი წინადადებაო და სწორედ ეს „სანამ“ არის ყურადღებამისაქცევი.

– თუ მისაღები წინადადებები მოისმინეს ხელისუფლების მხრიდან, მაშინ შევლენ?

– თუ იქნება აზრიანი წინადადებები, კი ბატონო. ოპოზიციის მოთხოვნები საკმაოდ აზრიანია – საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, დაკომპლექტების წესი. სხვათა შორის, ნაცმოძრაობის დროს შეიქმნა ეს სრულიად გაუგებარი წესი, რაც ძალიან სამწუხაროა.

– ახლა მათ მიერვე მიღებულის გაუქმებას ითხოვენ...

– ახლა ბუმერანგივით მოუტრიალდათ და თავისივე შექმნილის გაუქმებას ითხოვენ. მოთხოვნებში შედის ასევე ხელახალი არჩევნები და პოლიტპატიმრების გამოშვება. ახლა ამ მოთხოვნებიდან რაღაცა მაინც უნდა დაკმაყოფილდეს.

– გადაგდებაც რომ სჩვევიათ? ხომ შეიძლება, დაჰპირდნენ, შეიყვანონ ოპოზიცია პარლამენტში და მერე აღარ შეასრულონ?

– არ ვიცი, აბა, რა გითხრათ? ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებებიდან რა ხმებიც გამოდის, ახლა მე ამაზე საუბარი არ შემიძლია, თუმცა ვიცი, შიგნით რაც ხდება. ელჩები საკმაოდ აქტიურობენ და ყველა მათგანი მოითხოვს, იყოს ქმედითი პარლამენტი. როგორც ვხედავ, საქართველოში ქმედითი პარლამენტი ძალიან სჭირდება, უპირველესად ყოვლისა, ამერიკას, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რა სიტუაციაა რეგიონში. რეგიონში არის უმძიმესი სიტუაცია. უკლებლივ ყველა მოუწოდებს, რომ პარლამენტმა სრულფასოვნად უნდა იფუნქციონიროს. რუსეთი ძალიან გაძლიერდა რეგიონში, თურქეთმაც მძლავრად მოიკიდა ფეხი და თურქეთის რეაქცია პომპეოს ვიზიტზე ვნახეთ. აქედან გამომდინარე, ამერიკას სჭირდება დასაყრდენი.

– საქართველოს სახით?

– დიახ. ამისთვის კი საჭიროა ქმედითი პარლამენტი და ქმედითი მთავრობა, რომელიც შეძლებს გარკვეულ მომენტში გადაწყვეტილების მიღებას. პარლამენტი თუ იქნება ძლიერად წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიებით, ამ შემთხვევაში ქმედით პარლამენტს მიიღებენ. თუ იქნება ნორმალური დამოკიდებულება, უნდა შეძლონ და მოილაპარაკონ. თუ ეს მოლაპარაკება იქნება ისეთი, რომ ორივე მხარეს დააკმაყოფილებს, სახელმწიფოსთვის, ქვეყნისთვის ბევრად უკეთესი იქნება, თუ ეს პარლამენტი შედგება. მერე რამდენ ხანში დაინიშნება ვადამდელი არჩევნები, რა წესით იქნება და როდის იქნება, ეს უკვე მოლაპარაკების საგანია. აი, ამაზეა ლაპარაკი, თორემ, გინდა თუ არა, ახალი არჩევნები დამინიშნე და ის შემიცვალე და ეს შემიცვალე, ყველაფერს კატეგორიულად რომ მოითხოვ, მოდი, პატივი ვცეთ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც „ქართულ ოცნებას“ მისცეს ხმა. მე არ მაინტერესებს, რამდენმა პროცენტმა მისცა. ვთქვათ, გააყალბეს 5-8%, მაგრამ 40%-მა ხომ მისცა?! ჰოდა, კეთილი ვინებოთ და პატივი ვცეთ იმ ხალხსაც.

– ორივემ უნდა დათმოს?

– დიახ და ორივე მხრიდან უნდა იყოს პატივისცემა, ორივე მხრიდან უნდა იყოს დათმობა. აი, ამ დათმობებისა და ორმხრივი მოძრაობისთვის არ არის მზად ქართული პოლიტიკა. არ გვაქვს ეს პოლიტიკური კულტურა და სწორედ ეს არის უბედურება! მე ამ შემთხვევაში არ ვამართლებ არც „ქართულ ოცნებას“ და არც ოპოზიციას. აუცილებელია, რაღაცნაირად მოხდეს ეს შეთანხმება.

– ითქვა, რომ თავად „ოცნებასაც“ არ აწყობს ერთპარტიული პარლამენტი. ეს კრიზისამდე მიიყვანს მათ?

– არათუ არ აწყობს, არამედ ერთპარტიულ პარლამენტში მუშაობა შეუძლებელია!

– კანონებს ვერ მიიღებენ? არ ეყოფათ ხმები?

– საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის არ ეყოფათ, თორემ ისე საკმარისია. ჩვეულებრივ კანონებს უპრობლემოდ მიიღებენ. თუმცა აქ საუბარი სხვა რამეზეა. ძალიან ჭირს ოპოზიციის გარეშე. როდესაც არ არის საწინააღმდეგო აზრი, როდესაც არ არის საწინააღმდეგო შეხედულება, ცალმხრივად რომ იღებ გადაწყვეტილებას, შეცდომა უამრავია, იმიტომ რომ არავინ გეკამათება. შეკამათება კი პარტია „ქართული ოცნების“ შიგნით არ იციან, არ შეუძლიათ, ეშინიათ! კაცი შვილი პატრონი არ ჰყავთ, არავინ გამოვა და ეტყვის, ამას რას აკეთებთო! რასაც ეტყვიან ზემოდან, იმას აკეთებენ. ასეთ პირობებში, თუ ოპოზიცია არ ეყოლებათ პარლამენტში, შეცდომას შეცდომაზე დაუშვებენ. ქვეყანა დაზარალდება, თორემ ჯანდაბას ყველაფერი.

„დასავლეთისა გამკვირვებია: თუ მომიწოდებ, რომ შევიდე პარლამენტში, სწორად მომიწოდებ და მადლობა ამისთვის, მაგრამ მაშინ მთავრობასაც მოუწოდე, რომ რაღაცა დათმობაზე წავიდეს“

– ოპოზიციის ერთი ნაწილი უფრო დამყოლი და ლმობიერია, ხოლო მეორე ნაწილს ხისტი მოთხოვნები აქვსო. ვინ არის ყველაზე უფრო ხისტი?

– ყველაზე ხისტია „ევროპული საქართველო“. ეს ზეწოლაც ყველაზე მეტად სწორედ „ევროპული საქართველოდან“ მოდის, თორემ, ნაცმოძრაობაში რა ხდება, კი ვიცით. აგერ ვნახეთ გრიგოლ ვაშაძის განცხადებებიც. მის გარდა იქ სხვებიც არიან. ახლა გვარებს არ დავასახელებ...

– შესვლა უნდათ პარლამენტში?

– უფრო დიალოგის მომხრეები არიან. დიალოგის გარეშე რომ არაფერი გამოვა, ცხადია. გრიგოლ ვაშაძე დიპლომატია და ეს მშვენივრად იცის. ამიტომაც იყო მისი მოწოდება ასეთი. მან გადასარევად იცის, რომ ნებისმიერი ომი მთავრდება მოლაპარაკებებით და არა ისევ ომით.

– „ევროპული საქართველო“ რატომ არის ასეთი ხისტი და შეუვალი?

– „ევროპულმა საქართველომ“ კატასტროფული მარცხი განიცადა. 26 პარლამენტარი ჰყავდათ წინა პარლამენტში და ახლა ჰყავთ ხუთი. რამხელა მარცხია, ხომ? შესაბამისად, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად დაიძაბოს სიტუაცია და, თუ მოხერხდება, დაინიშნოს ხელახალი არჩევნები. ამიტომ მათი პოზიცია უფრო ხისტია. თუ დააკვირდებით, ასევე ხისტია იმ პარტიების პოზიცია, რომლებიც არჩევნების გზით ვერ მოხვდნენ პარლამენტში. არიან ისეთები, ვისაც მოლაპარაკება ურჩევნიათ, ასევე ისეთებიც, ვინც საერთოდ ჩუმად არიან და ელოდებიან, სიტუაცია როგორ განვითარდება. ელოდებიან, პირველი ვინ განაცხადებს თანხმობას შესვლაზე, რომ მერე თვითონაც შევიდნენ. შეიძლება, ამოგლიჯონ თითო-ოროლა კაცი ოპოზიციიდან და რაღაცა შეაკოწიწონ, მაგრამ ეს სურათს ვერ შეცვლის. ეს იქნება ხუხულა, რომელიც დაინგრევა. აქ საუბარია შინაარსობრივ მოლაპარაკებაზე, რომ ყველა იყოს კმაყოფილი კონსენსუსითა და შეთანხმებით და პარლამენტი იყოს ისეთი, რომელიც რაღაცას გააკეთებს.

– თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? წავა დათმობაზე ოცნება? მოვისმინეთ ივანიშვილის განცხადებაც, 9 ოპოზიციური პარტია შემოდის და მეტი რა უნდათო. არჩევნებიც დემოკრატიულად ჩატარდაო. ასეთი განცხადებების მერე რამეს დათმობენ?

– მაგათ თვლა არ იციან. 9 კი არა, 13 პარტიაა. რა, ბლოკებში შემავალ პარტიებს არ თვლიან?! ხუთი წევრი ბლოკში მარტო გაერთიანებულ ოპოზიციას ჰყავს და ორი – „სტრატეგია აღმაშენებელს“, თუმცა, აქედან მთავარი ის არის, რომელი შევა და რატომ შევა. თუ პარტია თვლის, რომ დაჩაგრულია და უსამართლოდ წაართვეს ხმა, ის, ძალიანაც რომ უნდოდეს შესვლა, მაინც ვერ გაბედავს. ვინ გაბედავს მაგის გაკეთებას?! ვინც ამას გააკეთებს, ჩათვალეთ, რომ იმან გამოიჭრა ყელი, როგორც პოლიტიკოსმა. ამ პირობებში დასავლეთისა გამკვირვებია: თუ მომიწოდებ, რომ შევიდე პარლამენტში, სწორად მომიწოდებ და მადლობა ამისთვის, მაგრამ მაშინ მთავრობასაც მოუწოდე, რომ რაღაცა დათმობაზე წავიდეს.

– პომპეოს ღიაა მესიჯები არ გაუჟღერებია, არც ერთობლივი ბრიფინგი ჩაუტარებიათ, თუმცა, ისიც ითქვა, რომ ის სრულიად სხვა მიზნით იყო ჩამოსული. ასეა?

– პომპეო ჩვენთვის არ ჩამოსულა. ის ჩამოვიდა საკუთარი ინტერესებისთვის. მოდით, ასე ვთქვათ, მან მონიშნა ის წერტილები, რომლებიც შედის ამერიკის ინტერესებში. ეს არის თურქეთი და საქართველო, მაგრამ თურქეთში ძალიან ცუდად მიიღეს. არჩევნები მის ინტერესებში დიდად არ ყოფილა, თუმცა, როგორც მერე აღმოჩნდა, პომპეო მიხვდა, რომ აქ არც ისე კარგადაა საქმე...

– და ოპოზიციასთან შესახვედრად თავისი მოადგილე დატოვა.

– დიახ და სწორი გადაწყვეტილება იყო ნამდვილად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და გვაძლევს იმის იმედს, რომ რაღაცაზე მაინც შეთანხმდებიან, თუმცა ხელისუფლებას იმდენად ფეხზე ჰკიდია ყველაფერი, რომ დიდად იმედიანად არ ვარ. თუ ერთპარტიული პარლამენტი გვეყოლება, დიდხანს მაინც ვერ გაძლებენ და უარესი შედეგი დადგება.

„ივანიშვილი თუ გონს არ მოეგება, მძიმე რეალობას მივიღებთ“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩვენთან მორიგი ადგილობრივი არჩევნები შემოდგომაზე უწევს. ვადამდელი არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნა სწორი გადაწყვეტილება იქნება“

ნათია ხურცილავა

„ლიბერალისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, ოპოზიციას რამდენად აქვს მესამე რაუნდის იმედი? შეიძლება, მართლაც დაფიქრდეს ხელისუფლება, რომ ერთპარტიული პარლამენტი არავისთვის არ არის მისაღები?

– წესითა და რიგით, ივანიშვილს მეორე კიმჩენიობა, ალბათ, არ უნდა უნდოდეს, თუმცა ნამდვილად არ ვარ ამაში დარწმუნებული. ხელისუფლება შეიძლება იმაზე დაფიქრდეს, რომ რეალურად ამ პარლამენტს ბევრი გადაწყვეტილების მიღების პრობლემა ექნება. თუკი ივანიშვილს თვითგადარჩენის ინსტინქტი შერჩა, უნდა მიიღონ ის შეთავაზება, რომელიც კომპრომისულია.

– რა შეთავაზებას გულისხმობთ?

– ოპოზიციამ კომპრომისულ ვარიანტად შევთავაზეთ არა ხელახალი, არამედ ვადამდელი არჩევნები. იმედს ვიტოვებ, რომ საკუთარი თავიდან გამომდინარე, ის ამ კომპრომისს მიიღებს. ალბათ, ყველა აცნობიერებს, როგორი რთული შეიძლება იყოს მორალური, პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყანაში ის რეალობა, რომელიც ერთპარტიულ პარლამენტსა და გარეთ დარჩენილ ოპოზიციას ახლავს. ამიტომ, არ ვკარგავ იმედს, რომ ივანიშვილი საბოლოოდ მაინც მოეგება გონს, თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე მაინც.

– ვადამდელი არჩევნები გაზაფხულზე თუ შემოდგომაზე?

– ერთდროულად ორი არჩევნები არსად ტარდება. ყველგან, რაციონალური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა არჩევნები სხვადასხვა დროს ტარდება. ამომრჩეველს რჩება დრო იმისთვის, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა გამოცადოს. ასეა მთელ მსოფლიოში. ჩვენთან მორიგი ადგილობრივი არჩევნები შემოდგომაზე უწევს. აქედან გამომდინარე, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების გაზაფხულზე დანიშვნა იქნებოდა.

– გაზაფხულამდე დარჩენილ დროში კი მე-10 მოწვევის პარლამენტმა ოპოზიციასთან ერთად დაიწყოს მუშაობა?

– ფორმალურად ამ ყველაფერს როგორ გააფორმებს ხელისუფლება, მისი საქმეა, თუმცა ყველას ეცოდინება, რომ ეს იქნება მხოლოდ ფორმალური პარლამენტი და არა სამართლიანი არჩევნების შედეგად არჩეული. ეს პარლამენტი იარსებებს მხოლოდ რამდენიმე თვე და რატომ, სრულიად გასაგებია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

– რამდენად წავა ხელისუფლება ამაზე? ეს მათი მხრიდან დათმობა არ გამოდის?

– დასათმობი ამ ხელისუფლებას არაფერი აქვს! მას ყველაფერი მიტაცებული და მითვისებული აქვს. მიტაცებული უნდა დააბრუნოს, ამაზეა საუბარი და არა დათმობაზე. არჩევნების ასეთი მასშტაბური მითვისება, მოპარვა დიდი ხანია, არ გვინახავს. ამას ან ვეგუებით, ან არა. საქართველოს მოქალაქეებმა მიიღეს გადაწყვეტილება და გვითხრეს, რომ ამას არ ეგუებიან.

თუნდაც ის ფაქტი, რომელიც მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურში მოხდა, იყო სამარცხვინო. მარტო დარჩენილებმა შედეგებიც კი ვერ დათვალეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თუ მიხვდებიან, რომ თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარეც, ყველაზე სწორი იქნება კომპრომისულ ვარიანტზე დათანხმება, ხომ კარგი, თუ ვერ მიხვდებიან, მათთვისვე იქნება უმძიმესი შედეგების მომტანი. რა თქმა უნდა, ქვეყნისთვისაც ეს ყველაფერი კარგი არ იქნება. ჩვენ ამაზეც ვფიქრობთ.

– თუ შეთანხმება ვერ მოხდება და მესამე რაუნდი იქნება – რაუნდი რაუნდისთვის, ამ შემთხვევაში რა მოხდება?

– მარტივად რომ გითხრათ, თუკი ივანიშვილი გონს არ მოეგება, ძალიან მძიმე რეალობას მივიღებთ. ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისს, ცხადია, დაემატება ეკონომიკური, ეპიდემიოლოგიური კრიზისი და ამას ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გაუძლებს. ბუნებრივია, ოპოზიცია გააგრძელებს ბრძოლას, რომ ჩვენ ვიყოთ ქვეყანა, რომელიც დემოკრატიისკენ ისწრაფვის, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას, მაგრამ, თუ ხელისუფლება ამის იგნორირებას მოახდენს, მას ეს, მერწმუნეთ, ძალიან ძვირად დაუჯდება. პირადად ივანიშვილს გაზაფხულისთვის ეს ძალიან მძიმედ მოუბრუნდება.

– თუ შეთანხმება ვერ შედგება, ოპოზიციის ლიდერები დესტაბილიზაციაზე საუბრობენ.

– დესტაბილიზაციისა და ყველანაირი კრიზისის წყაროც ყოველთვის ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფლებაა. ეს მათ მშვენივრად იციან. ამიტომ ივანიშვილი ამაზე უნდა დაფიქრდეს. ასევე, თუ ქვეყნის მომავალზე არა, უნდა დაფიქრდეს საკუთარ მომავალზე მაინც.

ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ოპოზიცია, ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლის გაგრძელებას, რათა ერთხელ და საბოლოოდ მოვიპოვოთ დემოკრატიული, თავისუფალი, ინსტიტუტების მმართველობაზე დაფუძნებული ქვეყანა.

– ოპოზიცია ერთიანობას ინარჩუნებს?

– დიახ, იმ ნაწილში, რომ ამ პარლამენტში არ შევიდეთ, ვინარჩუნებთ. ეს არის ყველაზე სწორი და ადეკვატური პასუხი ივანიშვილსადმი იმ ძალადობაზე, რომელსაც მან არჩევნები დაარქვა.

ოკუპირებულ აფხაზეთში ახალი კრიზისია

აფხაზეთში კრიპტოვალუტას დანარჩენი საქართველოს ხარჯზე გამოიმუშავებენ?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში მწვავე ენერგოკრიზისია. შექმნილმა მდგომარეობამ ადამიანებს კორონავირუსიც დაავიწყა, სიდუხჭირეც და აფხაზეთის „მოძმე“ მთიანი ყარაბაღის ისტორიაც.

რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტის, გათიშვისა და დახარჯული დენის საფასურის გადაუხდელობის პრობლემები ადრეც იჩენდა ხოლმე თავს, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თბილისი ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილს ოკუპირებულ აფხაზეთს უფასოდ აწვდის.

ახლანდელი მდგომარეობა კრიპტომაინერებმა გაართულეს. კრიპტოვალუტის გამომუშავებას უხვი ელექტროენერგია ესაჭიროება. საქმე იქამდე მივიდა, რომ კრიპტომაინერების გამო მთელ რესპუბლიკაში გრაფიკია დაწესებული. სადღეღამისო 6-საათიანი გათიშვა ამჟამად 4 საათამდე დავიდა, თუმცა უკმაყოფილება მაინც დიდია. დურიფშში ადგილობრივებმა ქვესადგურიც კი დაიკავეს.

კრიპტომაინერები აფხაზეთში 2016 წლიდან მომრავლდნენ. ამან გაზარდა ელექტროენერგიის უკონტროლო მოხმარება და ხარჯვა 30%-ით. რაულ ხაჯიმბას დროს, 2018 წელს, მაინინგ-ფერმები კანონით აიკრძალა. ამან საქმეს ვერ უშველა, ვინაიდან მაინერებმა თავიანთი მომგებიანი ბიზნესი არალეგალურად განაგრძეს.

ახლანდელი დე ფაქტო ხელისუფლების ანუ ასლან ბჟანიასა და ალექსანდრე ანქვაბის დროს კრიპტოვალუტის მაინინგზე აკრძალვა მოიხსნა.

საზოგადოების ნაწილი დღევანდელ კრიზისს სწორედ ამ დადგენილებას უკავშირებს.

მდგომარეობაზე მსჯელობენ დეპუტატები, ენერგეტიკოსები, პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, კრიპტომაინერების რეგისტრაცია ხარვეზებით მიმდინარეობს. ნახევარზე მეტი რეგისტრაციაზე არ ცხადდება. 120-დან ნახევარს უარი ეთქვა საქმიანობაზე მათ მიერ არჩეულ ადგილებში.

ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში აფხაზეთის რესპუბლიკას დაუგროვდა რუსეთიდან მოწოდებული მოხმარებული ელექტროენერგიის ვალი. ის შეადგენს 1,8 მილიარდ რუბლს. აქედან 866 მილიონი – ბოლო 3 წელიწადში.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, ამჟამად რუსეთიდან ელექტროენერგია არ შემოდის ენერგოსისტემის ავარიულობის გამო. ენგურჰესის სადერივაციო გვირაბზე მოსალოდნელი რემონტის დროს რუსულ დენზე წინა წლებში დადგენილი ტარიფი შენარჩუნდება.

აფხაზეთის სახალხო კრების დეპუტატებში კრიპტოვალუტის თაობაზე ისეთივე უთანხმოებაა, როგორიც რესპუბლიკაში ნავთობის მოძიება-მოპოვებაზე.

დეპუტატების ნაწილის აზრით, აუცილებელია კრიპტოფერმების საქმიანობის ლეგალიზაცია, მათ მიერ მობილიზებული სახსრები კი ენერგეტიკის რეაბილიტაციაზე უნდა დაიხარჯოს.

ენერგოკომპანია „ჩერნომორენერგოს“ ყოფილი თავმჯდომარის ასლან ბასარიას სიტყვებით, დღევანდელი კრიზისიდან გამოსასვლელად ენერგომომარაგება უნდა შეუწყდეს ყველა მაინინგფერმას.

ენერგეტიკოსის შეფასებით, მათი შემდგომი ლეგალიზაციის წინ უნდა მოგვარდეს შემდეგი პრობლემები: მოწესრიგდეს დენის მიყვანა აბონენტამდე; აღმოიფხვრას დეფიციტი ჯვრის წყალსაცავზე და დარეგულირდეს ელექტროენერგიის განაწილება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის.

ენერგეტიკოსი არ გამორიცხავს პრობლემებს იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე გადმოიტანს ჰესს თავის მხარეს. მაშინ აფხაზები უდენოდ დარჩებიან.

პარლამენტის წევრების აზრით, დენის მკაცრმა შეზღუდვამ გაართულა მეწარმეებისა და სტუდენტების მდგომარეობა. მეწარმეები ზრდიან პროდუქციის ფასს. მათი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, სიბნელეში, სიცივესა და უწყლობაში ცხოვრება მოუწევთ.

პრობლემას ეხმიანება პუბლიცისტი ინალ ხაშიგი. მისი თქმით, ახლანდელი კრიზისი პროგნოზირებადი იყო: 2018 წელს, როცა აიკრძალა კრიპტოვალუტის მაინინგი, „დაავიწყდათ“ ანალოგიური აკრძალვის შემოღება კრიპტოაღჭურვილობის შემოტანაზე. ამის შემდეგ ეს ბიზნესი გაფართოვდა აფხაზეთის ენერგეტიკისთვის კატასტროფულ მოცულობამდე. ახლა მაინინგი შთანთქავს აფხაზეთის ენერგეტიკის მესამედს.

ინალ ხაშიგის ინფორმაციით, აფხაზეთმა სექტემბერშივე ამოწურა ენგურჰესზე გენერირებული ელექტროენერგიის წლის ლიმიტი. ამის შემდეგ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კრიპტოფერმების საქმიანობის დაშვების თაობაზე.

– შეიცვალა მხოლოდ მოქმედების ჟანრი – დრამიდან გადავედით ტრაგიფარსზე, – ამბობს ჟურნალისტი.

მისი აზრით, ახლა აფხაზეთში ნათურები ისევ ქართველების ხარჯზე ანთია. „ამაყი“ აფხაზები ამაში ქართველებს ფულს არ გადაუხდიან. პრობლემები წინ არის – თებერვლიდან 4 თვით სარემონტო სამუშაოებისათვის იკეტება ენგურჰესი, რასაც მოჰყვება რუსული დენი, რომელიც უფასო ვერ იქნება.

ინალ ხაშიგის სიტყვებით, მუსირებს ხმები, რომ აფხაზეთის ენერგოსისტემაში შემოსვლა უნდათ რუსეთის კომპანიებს. მათი გამოჩენა არ მოხსნის არსებულ კოლაფსს, რომელიც აფხაზური მენეჯმენტის კონიუნქტურული ბაზრის კონტექსტში იწერება.

პეტრე მამრაძე: „ივანიშვილი „ოცნებაში“ იმ ხალხს აკონტროლებს, რომლებიც არ ჩანან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა (რომლის პარტია საპარლამენტო არჩევნებში ნაცმოძრაობას შეუერთდა) განაცხადა, რომ ერის ის ნაწილი, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა, ავადმყოფია. მეორე მხრივ, ნაცმოძრაობას სექტას უწოდებენ და უკვირთ, ამ პარტიას რატომ აძლევენ ხმას. თქვენ როგორ აღიქვით ლევან ბერძენიშვილის ეს განცხადება, ერისადმი რა დამოკიდებულებას გამოხატავს?

– ლევან ბერძენიშვილის ამ განცხადებას ვაფასებ, როგორც არაადეკვატურს. მას ამგვარი განცხადებები ადრეც გაუკეთებია და ყურადღებას არ ვაქცევ, ვინაიდან ბერძენიშვილის განცხადებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ბერძენიშვილს შეუძლია, რაც უნდა, ის თქვას.

შეგახსენებთ, ლევან ბერძენიშვილი აცხადებდა, თუ რესპუბლიკელები აღარ იქნებიან კოალიციაში, საქართველო პროდასავლურ კურსს დაკარგავსო. ასევე ამბობდა, სააკაშვილის არა მარტო დაპატიმრება, არამედ საქმის აღძვრაც კი არ შეიძლება, ვინაიდან ეს ძალიან დიდ ზიანს მოუტანს საქართველოს, რადგან სააკაშვილი უფრო პოპულარულია მთელ მსოფლიოში, ვიდრე მთელი საქართველოო. როგორც მაგალითი, ეს იმისთანა ტყუილი და არაადეკვატურობაა, მეტი რომ არ შეიძლება,

– როგორ?

– წლების განმავლობაში მე ვეცნობოდი უცხოურ ლიტერატურას რამდენიმე ენაზე (რამდენიმე ევროპულ ენაზე შემიძლია კითხვა) და საშინელი, ნეგატიური ინფორმაცია მოდიოდა სააკაშვილზე – რას არ უწოდებდნენ. სააკაშვილს საქართველოში ისე არ ლანძღავდნენ, როგორც ამერიკასა და ევროპაში, მათ შორის, სააკაშვილი და მისი კლოუნების თეატრი მოხვდნენ „სკაინიუსის“ გადაცემაში მოდელირებული „ქრონიკის“ შემდეგ.

– მახსოვს, 2012 წელს აკრიტიკებდნენ ბიძინა ივანიშვილს, რესპუბლიკელები თავის კოალიციაში რომ შეიყვანა. ბიძინა ივანიშვილი ამას რაღაც ლოგიკით ამართლებდა. ახლა ეს პარტია და ბერძენიშვილები ნაცმოძრაობასთან მივიდნენ და აცხადებენ, რომ სადაც თვითონ არიან, იქ არის „ჯანმრთელი ხალხი“, სხვაგან კი „ავადმყოფები არიან“. ეს რა ლოგიკაა? თქვენ თქვით, ყურადღებას არ ვაქცევო, მაგრამ მას გარკვეული ტელევიზიები თავიანთ დროს უთმობენ.

– მე ვიცი, ლევან ბერძენიშვილსა და მის ძმას როგორი სახელი აქვთ საქართველოში. მათ ცოტა მაყურებელი ჰყავთ. ნათელაშვილმა 1% მაინც აიღო. ამათ ესეც არ შეუძლიათ. აქედან ჩანს, როგორ აფასებს ქართველი ხალხი ამ ადამიანებს, მაგრამ ცნობადი სახეები ნამდვილად არიან, ლაპარაკი შეუძლიათ, ტელევიზიებიც უთმობენ დროს. მე, მაგალითად, არავინ მეძახის და გასაგებია, რატომაც.

– რატომ არ გეძახიან?

– იმიტომ, რომ მე ობიექტურად ვლაპარაკობ „ოცნებაზეც“ და ოპოზიციაზეც. ნაცები იქნებიან თუ სხვები, ერთნაირად კრიტიკულად ვუდგები და ამის უფლებაც მაქვს. მე დიდ პატივს ვცემ ივანიშვილს. ახლაც ივანიშვილს მივეცი ხმა იმიტომ, რომ ის ცდილობს, გააკონტროლოს ის „ოცნება“, რომლის დიდი ნაწილი მისი დაბრუნების წინააღმდეგი იყო.

– ახლა განაახლა შემადგენლობა.

– მეტ-ნაკლებად, მაგრამ ივანიშვილი აკონტროლებს მათ, ვისაც ჩვენი საზოგადოება ვერ აკონტროლებს. ივანიშვილმა თქვა, მე ვცდილობ, საზოგადოებას ჭარბი ნდობა დავუბრუნო იმ ფორმით, რომ „ოცნება“ გავაკონტროლოო. ეს პოლიტიკური დაჯგუფებაც კლასიკური გაგებით პარტია არ არის, მაგრამ ერთადერთია, რომელიც კონტროლის ქვეშაა. მე „ოცნებაზეც“ ვლაპარაკობ კრიტიკულად და ოპოზიციაზეც. აბა, რა უნდა თქვა იმ ხელისუფლებაზე, რომელმაც ლაფანყურის სისხლიანი ოპერაცია დღემდე არ გამოიძია!

ჩვენ გვახსოვს, მის გვერდით მყოფი ადამიანები ურჩევდნენ ივანიშვილს 2012 წელს (როდესაც ის პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული არ იყო), ესა თუ ის სუბიექტი შეეყვანა თავის კოალიციაში, ეუბნებოდნენ, ბერძენიშვილები გამოგვადგება, ალასანია კარგია და ჩვენს პოზიციას გაამაგრებს, ახლა პრორუსობას რომ გვაბრალებენო. ივანიშვილი ტყუვდებოდა, რადგან პოლიტიკაში ნულოვანი გამოცდილება ჰქონდა. შემდეგ ივანიშვილი საჯაროდ აცხადებდა, ჩემი გურუები პოლიტიკაში თინიკო ხიდაშელი და დათო უსუფაშვილი არიანო, რაც დიდი შეცდომა იყო.

– თავის დროზე უმაღლესი თანამდებობები უბოძა რესპუბლიკელებსა და თავისუფალ დემოკრატებს.

– ეს იყო ივანიშვილისთვის თავისტკივილი. თინათინ ხიდაშელი იმისთანას იტყოდა ნატოში, მთელი დასავლეთი გაოგნებული იყო. აქ ჩამოსული უცხოელი დიპლომატები და ექსპერტები (რომლებსაც ვხვდებოდი) მეუბნებოდნენ, ეს ქალი აშკარად არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობასო, რაც იყო თავდაცვისმინისტრობა.

პარლამენტის თავმჯდომარეების საერთაშორისო ფორუმებზე დათო უსუფაშვილი ყვიროდა, საქართველომ ახლა მაპი თუ არ მიიღო, ქვეყანაში დაიწყება სამოქალაქო დაპირისპირება და, საერთოდ დედამიწიდან გაქრებაო. იმ სამიტზე საქართველოსთვის მაპის მიცემა საერთოდ არ განხილულა და დღემდე არ მოუციათ. რამე იყო იმის მაგვარი, რასაც უსუფაშვილი აცხადებდა? უცხოელები კითხულობდნენ, ესენი ვინ მოძებნა, პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი როგორ გახდნენო.

სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ასეთი შეცდომები იყო. საგარეჯოს არჩევნების დროს მთელი საქართველო უყურებდა, თავდაცვის მინისტრი ბუღალტერივით როგორ ანგარიშობდა ხმებს და შემდეგ პროკურატურაშიც კი აღიძრა საქმე. ახლა, მადლობა ღმერთს, ხიდაშელი და უსუფაშვილი აქტიურ პოლიტიკაში აღარ არიან და თავიანტი კუთვნილი მარგინალური ადგილი დაიკავეს. ხიდაშელი და უსუფაშვილი ხომ ისეთივე მარგინალები არიან, როგორებიც ბერძენიშვილები.

– უჭკვიანესებად რომ მიაჩნიათ თავი?

– ეს პრობლემაა ადამიანებისა, რომლებსაც ეს თვისება აკლიათ. მე ბედნიერი ვარ, რომ ბავშვობიდან ისეთ წრეში ვიზრდებოდი, არაერთი გამოჩენილი მეცნიერი გავიცანი. ბავშვობაში თუ შემდეგ, როცა ვმუშაობდი, როგორც ფიზიკოსი, ყველა მათგანი ჩიოდა, რომ რაღაც არ ჰყოფნით, რათა უფრო მეტი გააკეთონ. სოკრატემ თქვა, მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიციო.

– პოლიტიკურ ბაზარზე რა არჩევანიც არის, ამომრჩეველი იქიდან არჩევს, ვის მისცეს ხმა. დღეს შემოთავაზებული პარტიებიდან, ვთქვათ, „ოცნებამ“ რა შესცოდა ისეთი, რის გამოც ამომრჩეველმა ხმა არ უნდა მისცეს და საპირწონედ ხალხმა ნაცმოძრაობას რატომ უნდა მისცეს ხმა?

– მე რომ ახლა დავიწყო კრიტიკა ობიექტურად, სტანდარტული პოზიციებიდან, როგორც ფასდება პარტიის საქმიანობა, მით უმეტეს, პარლამენტში უმრავლესობით წარმოდგენილი პარტიისა 2012 წლიდან დღემდე (მთელი ხელისუფლება ამ პარტიის მიერ არის დაკომპლექტებული), ძალიან მძიმე სურათი წარმოჩნდება.

ლევან ზურაბაშვილს 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა

„მოთხოვნები გაგრძელდება, მაგრამ არა ამ ფორმით“

გუშინ, 23 ნოემბერს, მიკროსაფინანსოზე თავდამსხმელ ლევან ზურაბაშვილს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

– რამდენჯერ გიტირია იმის გამო, რომ წამიგია და რამდენი დედაა ასე? – ამ სიტყვებით მიმართა დედას ლევან ზურაბაშვილმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე. ბრალდებულს სხდომის დაწყებამდე დედამ სთხოვა, ჩუმად ყოფილიყო.

– დედა ხომ გინდა, ცოცხალი გყავდეს, – ამ სიტყვებით მიმართა ზურაბაშვილს დედამ.

– ხვალ, ზეგ აღარ გვექნება საქართველო, თუ ხმა არავინ ამოიღო. რამდენჯერ გიტირია იმის გამო, რომ წამიგია და რამდენი დედაა ასე? – განაცხადა ზურაბაშვილმა.

მისივე თქმით, მოთხოვნები გაგრძელდება, მაგრამ არა ამ ფორმით.

– რამდენმა მოიკლა თავი, რამდენი ოჯახი გამწარდა, ხალხს სახე ჩამოსტირის. ახლა მექნება საშუალება, ვთქვა ყველაფერი. შეიძლება, ბევრი არ თამაშობდეს, მაგრამ მომავალი თაობა იღუპება, ეს თქვენს გულამდე არ მიდის? გავისტუმრე ჩემი ვალები, აღარ ვთამაშობ, მაგრამ ამ თამაშმა ცხოვრება, წლები მომპარა. ჩემთვის მთავარია, რომ კანონები შეიცვალოს და ერი გადარჩეს. არანაირი პარტიის წევრი არ ვარ, ვერ ვიტან პოლიტიკოსებს.

ოჯახი არ არსებობს, რომ წამალი არ სჭირდებოდეს, საქართველო კი არ ვითარდება, უკან-უკან მიდის. ჩვენ ცოდოები არ ვართ? ვიღაცას მეტი შემოსავალი აქვს, ვიღაცას – ნაკლები, ხალხიც არ მივიდა არჩევნებზე, – განაცხადა სასამართლოში ლევან ზურაბაშვილმა.

დაცვის მხარე მისთვის გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

– მოვითხოვთ გირაოს 1000 ლარის ოდენობით, იქიდან გამომდინარე, რომ მას სურს, დადგინდეს ჭეშმარიტება, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ამიტომ ვართ ამ პოზიციაზე თანახმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვითხოვდით, რომ საერთოდ არც ერთი ღონისძიება არ შეჰფარდებოდა და გაეთავისუფლებინათ სასამართლო დარბაზიდან. არანაირი მძევლობა, მას არავისთვის თავისუფალი გადაადგილება არ შეუზღუდავს, არავის უხეშად არ მოჰპყრობია, არავისთვის საშიში არ ყოფილა, – თქვა ადვოკატმა გიორგი ჭოჭუამ.

პროკურატურამ ზურაბაშვილის პატიმრობაში დატოვება მოითხოვა.

– ბრალდების მხარემ მივმართეთ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე, რათა არ მოხდეს დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება, ექსპერტიზა დაადგენს, ხომ არ წარმოადგენს იგი საშიშროებას და



ხომ არ არსებობს მისგან მომავალში ანალოგიური საქმის განხორციელების საფრთხე, – განაცხადა პროკურორმა ლუკა გამყრელიძემ.

მან დააზუსტა, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზით დადგინდება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს.

– ბუნებრივია, ეს გავლენას მოახდენს საქმის წარმოებაზე, თუ დადგინდება, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი, – განაცხადა ლუკა გამყრელიძემ.

პროკურორმა აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, მიმართოს პროკურატურას საპროცესო შეთანხმებაზე.

– მოცემულ ეტაპზე გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები, დასაზუსტებელია მრავალი საკითხი. ამ გამოძიების დასრულების შემდეგ, ბუნებრივია, მიღებული იქნება კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. დაცვის მხარეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, მიმართოს პროკურატურას საპროცესო შეთანხმებაზე, თუმცა ეს მათი უფლებაა, გამოიყენებენ თუ არ გამოიყენებენ, – აღნიშნა ლუკა გამყრელიძემ.

პროცესის შემდეგ ლევან ზურაბაშვილის დედამ კომენტარი გააკეთა.

– ჩემს შვილს ამის გაკეთებისკენ სიდუხჭირემ და გაჭირვებამ უბიძგა. როდესაც ლევანი ასეთ გაუბედურებულ და გაღატაკებულ ხალხს ხედავდა, ძალიან განიცდიდა, – თქვა მედიასთან ლამარა ტერელაძემ.

მისი თქმით, ლევან ზურაბაშვილის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არ არსებობდა.

– მე არ მინახავს, რა ხდებოდა ბანკში. როგორც მითხრეს, როდესაც ლევანი ბანკში შევიდა, ყველას უთხრა, ვისაც გინდათ, წადითო. ლევანს იქ არავინ დაუკავებია, ხალხი ხუმრობდა, იცინოდა და სადაც უნდოდა, იქ გადიოდა. ჩემს შვილს ამის გაკეთებისკენ სიდუხჭირემ და გაჭირვებამ უბიძგა. როდესაც ლევანი ასეთ გაუბედურებულ და გაღატაკებულ ხალხს ხედავდა, ძალიან განიცდიდა, ვეუბნებოდი, შენ ხომ არ ხარ პირველი მერცხალი, გამოჩნდება ადამიანი, ვინც მიხედავს საქართველოს-მეთქი.

პატიმრობაში დატოვების აუცილებლობა არანაირად არ არსებობდა. მე დედა ვარ და ჩემს შვილს კიდევ გავაკეთებინებდი ასეთ რამეს? ლევანს ისეთი მეგობრები ჰყავს, ყველა გვერდით დაუდგებოდა. მე ვფიქრობდი, რომ ჩემს შვილს გამოუშვებდნენ, გირაოს გადავიხდიდით და გვერდით დავუდგებოდით მეც და მისი მეგობრებიც, – განაცხადა ლამარა ტერელაძემ.

გლდანის კარფურში მამაკაცმა ყოფილ ცოლს ყელში დანა დაარტყა

გლდანში მდებარე სავაჭრო ცენტრ კარფურში კაცი ყოფილ ცოლს თავს დაესხა და საკანცელარიო დანით ჭრილობა მიაყენა.

თავდამსხმელზე შემაკავებელი ორდერი იყო გაცემული და მან საპატიმრო 22 ნოემბერს დატოვა, თავდასხმა კი 1 დღის შემდეგ, გუშინ, 23 ნოემბერს მოხდა.

თავდასხმის ფაქტი კარფურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა დაადასტურა.

– უბრალოდ შემოვიდა, წამებში მოხდა ეს ყველაფერი. 5 წამის განმავლობაში მოხდა ყველაფერი და 5 წამშივე დასრულდა, – განაცხადა ნინო რამიშვილმა.

ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, ხოლო თავდამსხმელი სავაჭრო ცენტრის დაცვამ ადგილზევე დააკავა.

მომხდარზე შსს-მ განცხადება გაავრცელა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1976 წელს დაბადებული ა.გ. შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა თავის ყოფილ მეუღლეს – 1983 წელს დაბადებული თ.პ-ს მისსავე სამსახურში – გლდანში მდებარე ერთ-ერთ სუპერმარკეტში მიაკითხა, რითაც დაარღვია თ.პ.-ს დაცვის მიზნით მის მიმართ სამართალდამცველების მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი და ყოფილ მეუღლეს საკანცელარიო დანის გამოყენებით ყელის არეში ჭრილობა მიაყენა. თ.პ. სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – საკანცელარიო დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 11 პრიმა 381-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 11 პრიმა-19-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ადვოკატები „კარტოგრაფების საქმეში“ სალომე ზურაბიშვილის გამოკითხვას ითხოვენ

დასთანხმდება თუ არა პრეზიდენტი კარტოგრაფების საქმეზე გამოკითხვას – ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ადვოკატებს სალომე ზურაბიშვილისგან პასუხი ამ დრომდე არ მიუღიათ.

ადვოკატებმა უკვე მიმართეს პრეზიდენტის ადმინისტრაციას ზურაბიშვილის მოწმის სახით გამოკითხვასთან დაკავშირებით. უფლებადამცველები ამბობენ, რომ მას სადელიმიტაციო კომისიის საქმიანობაზე ბევრი ინფორმაცია აქვს, რამდენადაც 2004-2005 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო.

– სალომე ზურაბიშვილი უშუალოდ იყო ჩართული დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში. ის სადავო პერიოდის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო და ექვემდებარებოდა კომისია. როგორც მასალებიდან ირკვევა, ბევრი საკითხი სწორედ ზურაბიშვილთან თანხმდებოდა, – ამბობს ადვოკატი ედუარდ მარიკაშვილი.

ადვოკატები თავდაცვის მოქმედი მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, გამოკითხვასაც ელოდებიან.

– საქმე პირდაპირ უკავშირდება ღარიბაშვილს, რადგან ინტერვიუებში პირდაპირ ამბობს, რომ სპეცოპერაცია ჩატარდა მასალების მოსაპოვებლად. საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, ყველა კითხვას პასუხი გაეცეს, როდესაც საუბარია ქვეყნის ღალატზე, – თქვა ადვოკატმა ნესტან ლონდარიძემ.

საქმეში სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთ ფიგურანტობაზე ივერი მელაშვილის ცოლი თამარ სულაძეც საუბრობს.

– სწორედ მისი მინისტრობის დროს მუშაობდა ივერი კომისიაში, ამდენად, ზურაბიშვილს გარკვეული ინფორმაცია ექნება. მისმა გამოკითხვამ, შესაძლოა, საქმეს მეტი ნათელი მოჰფინოს, – ამბობს სულაძე.



შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანთან, საზღვრის დადგენის კომისიის წევრები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა 7 ოქტომბერს დააკავეს.

პროკურატურა მათ სადემარკაციო კომისიაში მუშაობისას საქართველოს ტერიტორიული ინტერესების საწინააღმდეგო რუკებით მუშაობაში ადანაშაულებს.

დაკავებულების წინააღმდეგ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს რად 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

8 ოქტომბერს ორივე მათგანი თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარ ორთვიან პატიმრობაში დატოვა.

მიცკევიჩზე მაღაზია „სუფთა სახლი“ გაქურდეს

თბილისში, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქ.14-ში მდებარე „სუფთა სახლის“ ფილიალი გაქურდეს.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივმა მცხოვრებმა აცნობა, წაღებულია ელექტრომრიცხველები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები.

მომხდარზე გამოძიება 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ხათუნა ბერიძე მის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას პოლიტიკურ დევნად აფასებს

პოლიტიკური საქმე და გაფრთხილება პოლიტიკური აქტიურობისთვის – საგამოძიებო უწყება ბათუმში მომხდარი დაპირისპირების გამო, სავარაუდოდ, მოძრაობა „ალტერნატივის““ ხელმძღვანელ ხათუნა ბერიძის დადანაშაულებას გეგმავს.

ბერიძე დარწმუნებულია, რომ საგამოძიებო უწყება მის წინააღმდეგ პოლიტიკურ საქმეს კერავს.

საქმე ეხება 19 ნოემბერს „ქართული ოცნებისა“ და „ალტერნატივის“ აქტივისტებს შორის დაპირისპირებას, რომელიც ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე მოხდა.

ხათუნა ბერიძისთვის ბრალი ჯერ არ წაუყენებიათ, მაგრამ საქმეზე გამოძიება 126-ე მუხლით არის დაწყებული, რაც დაზარალებული პირის მიმართ ძალადობას გულისხმობს. მუხლი ითვალისწინებს ჯარიმის გადახდას ან ერთწლიან პატიმრობას.

– ჩვენ პოლიტიკური ნიშნით ვიდევნებით, რადგან არ ვეგუებით ივანიშვილის მმართველობას. გვიგზავნიან პოლიციელებს, რომელთა უმეტესი ნაწილი „ოცნების“ მხარდამჭერია. ფაქტობრივად, შეთითხნეს ეს ამბავი, – ამბობს ბერიძე.

ინციდენტიდან 3 დღის შემდეგ ხათუნა ბერიძემ პოლიციის სამმართველოდან უწყება მიიღო.

იგი აჭარის მთავარ სამმართველოში 3 საათზე მეტ ხანს იკითხებოდა.

რუსთავთან ავარიაში 37 წლის შენგელი იარაჯული დაიღუპა

ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავი-თბილისის ავტობანზე მსხვერპლით დასრულდა.

ავარიის დროს დაშავდა მამაკაცი, რომელიც ბმვ-ს მარკის ავტომობილს მართავდა.

დაშავებული მალევე გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვლილი მამაკაცი 37 წლის შენგელი იარაჯულია. მას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

სომხეთი აზერბაიჯანს 120-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს მისცემს

სომხეთი აზერბაიჯანს 120-ზე მეტ დასახლებულ პუნქტს გადასცემს.

გამოქვეყნებული სიის მიხედვით, აზერბაიჯანს ლაჩინის რაიონში 52, მარტაკერტში 8, შაუმიანში 16, გადრუთში 29, შუშის რაიონში 2, ასეკერანში 8 და მარტუნის რაიონში 8 დასახლებული პუნქტი გადაეცემა.

შეგახსენებთ, რომ 9 ნოემბერს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა და რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მთიან ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ბელარუსის ეკლესიამ ლუკაშენკო ანათემას გადასცა

ბელარუსის ავტოკეფალიურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ალექსანდრე ლუკაშენკო ანათემას გადასცა. ამის შესახებ ბელარუსის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „ალექსანდრე ლუკაშენკო დიქტატორი, მკვლელი და ბელარუსი ხალხის მწამებელია“.

„ეშმაკით შეპყრობილი მმართველის ბრძანებით ჩვენი შვილები ჩვენს ძმებსა და დებს ხოცავენ და აბუჩად იგდებენ“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ბელარუსის ავტოკეფალიურ ეკლესიაში ასევე აცხადებენ, რომ ბელარუსში ძალადობა ხორციელდება ქვეყნის აღმოსავლელი მეზობლის მხარდაჭერით, რომელიც თავს მართლმადიდებელსა და უფროს ძმას უწოდებს, მთელი ცივილიზებული მსოფლიო კი მხარს უჭერს ბელარუსი ხალხის ბრძოლას თავისი უფლებებისთვის.

აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი გახდება

ჯო ბაიდენი აშშ-ის სახელმწიფო მდივნად, სავარაუდოდ – ანტონი ბლინკენს, გაეროში აშშ-ის ელჩად კი ლინდა ტომას-გრინფილდს წარადგენს.

ენტონი ბლინკენს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის მოადგილის თანამდებობა ეკავა, ლინდა ტომას გრინფილდი კი ობამას მმართველობის პერიოდში 2013 წლიდან 2017 წლამდე აფრიკის საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ მსახურობდა.

ჯო ბაიდენი თავისი კაბინეტის შემადგენლობის ნაწილს სამშაბათს დაასახელებს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

თსუ სუპერლიგას ლიდერობს

ვერა-თსუ 89:94

(24:23, 28:23, 16:25, 21:23)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა 94:89 დაამარცხა ვერა და სატურნირო ცხრილში პირველზე ადგილზეა. თუმცა სტუდენტებს სხვებზე მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული.

ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეტოქეს ბოლო წუთებზე აჯობა, მანამდე კი თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, ხან ვერელები იყვნენ წინ, ხანაც – სტუდენტები. ვერას შემადგენლობაში ახალმა ლეგიონერმა – ჯოშუა ჰავლიმ ითამაშა, რომელმაც 12 წუთში 8 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა. ვერელთა შორის საუკეთესო იყო გივი ბაქრაძე, რომელიც საქართველოს ეროვნულ გუნდში პირველად გამოიძახეს.

თსუ-მ მეტოქეს მეტი მობილიზებით და ფიზიკური გამძლეობით აჯობა. ბოლო პერიოდის წინ სტუდენტები 3 ქულით იგებდნენ, მაგრამ მალევე ვერელები 72:71 დაწინაურდნენ. თუმცა თსუ-ს უკანახაზელმა ლუკა ზაქრაძემ, რომელიც ასევე ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, 3-ქულიანი ჩააგდო, რითაც სათავე დაუდო სტუდენტური გუნდის გაქცევას. თსუ-ელებმა უპირატესობა მოიპოვეს და გამარჯვებამდე მივიდნენ.

თსუ-ში 28 ქულითა და 6 პასით საუკეთესო იყო ბრენდონ სლაი. 18 ქულა ბრაის სმიტმა მოაგროვა, ხოლო საბა ლობჟანიძის ანგარიშზე 16 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა. ვერელთაგან გივი ბაქრაძის შემდეგ 21 ქულით ვახტანგ ქადარია გამოირჩა. 20 ქულა ჯალენ ბრედლის ანგარიშზე დაგროვდა.

კაკტუსი-ოლიმპი 82:80

(22:21, 19:27, 19:14, 22:18)

მიმდინარე სუპერლიგის პირველი მატჩი, რომლის ბედიც ბოლო წამზე ჩაგდებული ბურთით გადაწყდა, კაკტუსი-ოლიმპის ჯახი გამოდგა. ანგარიში 80:80 იყო და დასრულებამდე 3,6 წამი რჩებოდა, როცა გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი კაკტუსელმა სამაი ჰეინს-ჯონსმა მიიღო, დრიბლინგით ოლიმპელთა კალათს მიუახლოვდა, ესროლა და ბურთიც რგოლში საფინალო სირენის ხმასთან ერთად ჩაეშვა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

მატჩის გმირმა ჰეინს-ჯონსმა შეხვედრა 21 ქულით, 7 მოხსნითა და 5 პასით დაასრულა. 19 ქულა – სანდრო სანაძემ, ხოლო 17 ეი ჯეი სამბრიმ მიითვალა. ოლიმპელთაგან 16 ქულით საუკეთესო ლუკა კალატოზიშვილი იყო. 12 ქულა და 12 მოხსნა დევანტე ფოსტერმა მიითვალა.

სატურნირო ცხრილი:

1.თსუ	6	4	2490-478	10
2.ქუთაისი	4	4	0371-300	8
3.კაკტუსი	6	2	4423-470	8
4.ცხუმი	4	2	2312-286	6
5.ოლიმპი	5	1	4382-425	6
6.ბათუმი	4	2	2342-347	6
7.ვერა	5	1	4356-422	6
8.მგზავრები	4	1	3307-330	5
9.ტიტები	3	2	1229-207	5
10.დინამო	3	2	1250-237	5
11.რუსთავი	2	2	0187-147	4

შერმადინი და ტენერიფე აღარ ხუმრობენ

ფინეთში საქართველოს ნაკრების შეკრებაზე გიორგი შერმადინი კარგი განწყობით მიდის. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მისმა ტენერიფემ სტუმრად ვალენსია დაამარცხა – 95:89. ვალენსიელებს ბოლო წლებში დიდი ამბიციები აქვთ და მათი სტუმრად დამარცხება საკმაოდ კარგი განაცხადია.

ცხადია, შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და გამარჯვებაში დიდი წილი დაიდო. საბოლოოდ მისი მონაგარი იმდენად დიდი არ არის, რამდენად მისი როლი ვალენსიელთა გატეხაში. ბოლო პერიოდში, როცა ტენერიფელები 8 ქულით ჩამორჩებოდნენ, შერმადინმა ზედიზედ 6 ქულა ჩააგდო და ტენერიფელთა გაქცევას დაუდო სათავე.

დასკვნით წუთებზე კი შერმადინის გუნდმა უკვე პერიომეტრიდან „დაბომბა“ მეტოქე და ისე გაიმარჯვა, ამბიციური მასპინძლებისთვის შანსი არ მიუცია. შერმადინმა მოედანზე გატარებულ 26 წუთში 13 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 12-დან 6 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. გამარჯვებულთაგან 22 ქულითა და 7 პასით საუკეთესო იყო მარსელინიო უერტასი.

10 მოგებითა და 1 მარცხით ტენერიფე ცხრილში მე-2 ადგილზეა, ხოლო პირველზე დაუმარცხებელი რეალია. მომდევნო მატჩს შერმადინის გუნდი შინ მონბუსთან გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. კეთდება მხოლოდ კბილის მოსახსნელი პროთეზები, გარანტიით. არის იტალიური, რუსული წარმოშობის. ტელ: 555-72-64-98.

შოთა იათაშვილს კორონავირუსი გაურთულდა

პოეტ შოთა იათაშვილს კორონავირუსი გაურთულდა, რის გამოც იგი ორმხრივი ფილტვების ანთებით საავადმყოფოში გადაიყვანეს:

– წამიყვანეს საავადმყოფოში, კატე გადამიღეს და სხვა ანალიზები გამიკეთეს, დამიდგინეს, რომ ორმხრივი პნევმონია მაქვს და ამიტომ არ ჩამომდის სიცხეები და დამტოვეს კიდეც საავადმყოფოში სამკურნალოდ.

ხარაგაულის სახალხო თეატრი 120 წლისაა

ხარაგაულის სახალხო თეატრი წელს იუბილარია და დაარსებიდან 120 წლის იუბილეს აღნიშნავს. მსოფლიოში შექმნილი პანდემიის გამო თეატრის იუბილე ხალხმრავალი ღონისძიებებით ვერ აღინიშნება.

ხარაგაულის თეატრმა 1900 წელს დაიწყო ჩამოყალიბება. შალვა ხარაძისა და ასკალონ ლომსაძის ინიციატივით მოყვარული მსახიობები სპირიდონ კიკნაძის სახლის ეზოში იკრიბებოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ.

8 წლის შემდეგ მისი რეპერტუარი უკვე 5 სპექტაკლისგან შედგებოდა. დაარსებიდან 20 წლის შემდეგ ხარაგაულის თეატრალური დასის წარმომადგენლები რკინიგზელთა კლუბში შეიკრიბნენ და გამართეს რეპეტიციები. ამ დროს თეატრს ხელმძღვანელობდა ნოე აბაშიძე. 1930 წლიდან ხარაგაულში უკვე მუდმივმოქმედმა თეატრალურმა დასმა დაიწყო ფუნქციონირება.

თეატრმა დასმა სახელმწიფო თეატრის სტატუსი მხოლოდ დაარსებიდან 43 წლის შემდეგ მიიღო. სწორედ ამ პერიოდში სპექტაკლებში მონაწილეობდნენ მომავალში დიდი რეჟისორები იური კაკულია და დევი აბაშიძე. მოგვიანებით თეატრს „სახალხო თეატრის“ წოდებაც მიენიჭა. სახალხო თეატრის პირველი რეჟისორი გახდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ოთარ აბაშიძე, რომლის სახელობისაც გახლავთ დღეს თეატრი.

1967 წლიდან სახალხო თეატრის რეჟისორობა გააგრძელა ნიჭიერმა მსახიობმა და რეჟისორმა თამაზ კიკნაძემ, რომლის მოღვაწეობის პერიოდშიც ხარაგაულის თეატრის სცენაზე ათეულობით საინტერესო სპექტაკლი დაიდგა. 2004 წელს ხარაგაულის სახალხო თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე გახდა. იგი დღესაც ღირსეულად აგრძელებს საუკუნოვანი თეატრის ისტორიას. მისი რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები „ნატვრის ხე“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“, „თანამდევი სული“, „და დროც გაჩერდება“, „სათაგური“, „დარისპანის გასაჭირი“, „ორნი“, „ხორუმი ქართული ცეკვაა“.

თეატრმა თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი წარმატება მოიპოვა, სხვადასხვა წლებში გახდა საქართველოს სახალხო თეატრების „გრანპრის“ მფლობელი, იმერეთის თეატრალური ფესტივალის „გრანპრის“ მფლობელი, თურქეთის ქალაქ ქემერის საერთაშორისო ფესტივალის „გრანპრის“ მფლობელი.

მუსიკოსი გიორგი ბერიძე გარდაიცვალა

გამოჩენილი მუსიკოსი, თბილისის სიმფონიური ორკესტრის წევრი, ჰობოისტი გიორგი ბერიძე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულმა ცენტრმა გაავრცელა.

– გოგი, ღვაწლმოსილი ხელოვანი, ღირსეული პიროვნება, ყველასთვის საყვარელი და გამორჩეულად თბილი ადამიანი, ათწლეულების განმავლობაში იყო ქართული პროფესიული საშემსრულებლო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. სხვადასხვა დროს უკრავდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის, ოპერის თეატრისა და სხვა კოლექტივების შემადგენლობაში, მაგრამ თავისი ცხოვრების ბოლო სამი ათეული წელი მან თავისი საყვარელი მაესტროს ჯანსუღ კახიძის მიერ შექმნილ თბილისის სიმფონიურ ორკესტრს დაუკავშირა და სწორედ იქ დაასრულა თავისი საშემსრულებლო კარიერა 2019 წელს. ორკესტრმა დიდი მადლიერებით გააცილა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსი და, იმავდროულად, საზეიმოდ აღნიშნა ბატონი გოგის დაბადებიდან 80 წლისთავი.

ბატონმა გოგიმ თავისი ულევი ენერგია მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუთმო. ასაკისა და ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, მისთვის ჩვეული ახალგაზრდული შემართებითა და პროფესიონალიზმით განაგრძო მუშაობა თავის მრავალრიცხოვან მოსწავლეებთან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ცენტრალურ მუსიკალურ ათწლედში, ასევე სისტემატურ კონსულტაციებს უწევდა ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის სტუდენტებს. ბატონი გოგის მრავალრიცხოვანი მოსწავლეები აგრძელებენ თავიანთი საყვარელი პედაგოგის გზას არა მხოლოდ საქართველოს ორკესტრების შემადგენლობაში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ცნობილ მუსიკალურ კოლექტივში.

ბატონი გოგის შესანიშნავი ოჯახი, მისი სათნო მეუღლე, ქალბატონი ნელი, რომელიც ამავე ვირუსის გართულებას ერთი დღით ადრე ემსხვერპლა, არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილები, ტრადიციული, საოცრად სტუმართმოყვარე ქართული ტრადიციების იშვიათი და საუკეთესო ნიმუში იყო, რომლითაც ოჯახის უფროსი განსაკუთრებულად ამაყობდა და ხარობდა. ყველა, ვინც ბატონ გოგის კარგად იცნობდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს ძლიერი ნებისყოფის ადამიანი ამ დაავადებასაც სძლევდა, მაგრამ, საუბედუროდ, ასე არ მოხდა.

ბატონი გოგი ბერიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მრავალრიცხოვანი ახლობლებისა და გულშემატკივრების მეხსიერებაში. კიდევ ერთხელ ვიზიარებთ ბატონი გოგის ოჯახის ამ ორმაგ ტრაგედიას და ვუსურვებთ სულიერ მხნეობასა და გამძლეობას, – ნათქვამია ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა სამზარეულო დაალაგა და გაიგო, რომ გამდიდრდა

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის დელტას მუნიციპალიტეტის მკვიდრმა ქალმა სამზარეულოში რადიომიმღების ქვეშ იპოვა ლატარიის ბილეთი, რომელმაც მას მსხვილი მოგება მოუტანა. კეროლინ ბაუერმა არაფერი იცოდა საკუთარი გამდიდრების თაობაზე მანამ, სანამ სამზარეულოს დალაგებას არ შეუდგა და რადიომიმღების ქვეშ დავიწყებული ლატარიის სამი ბილეთი იპოვა. კეროლინმა ბილეთები შეამოწმა და გაირკვა, რომ 7 ოქტომბერს გამართული გათამაშების შედეგად ერთ-ერთმა ბილეთმა მას 45 ათასი კანადური დოლარის მოგება მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ ორი დანარჩენიც ასევე მომგებიანი აღმოჩნდა: ერთმა მას უფასოდ კიდევ ერთხელ თამაშის უფლება მოუტანა, ხოლო მეორემ ერთი კანადური დოლარი მოაგებინა.

– ეს დაუჯერებელი იყო, საკუთარ თავს ვუჩქმიტე იმაში დასარწმუნებლად, რომ ეს სიზმარი არ იყო და ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა ქალმა.

მაიმუნი ქალს ტანსაცმლის გარეცხვაში დაეხმარა

ინდონეზიის პროვინცია კალიმანტანში გარეული მაიმუნი ქალს ტანსაცმლის გარეცხვაში მიეხმარა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

აიუ სარასიანმა ტაშტი წყალში ჩამბალი ჭუჭყიანი ტანსაცმლით სახლის წინ დატოვა და თვითონ სხვა საოჯახო საქმეებს მიუბრუნდა. როდესაც ის უკან დაბრუნდა დაწყებული საქმის დასამთავრებლად, მან თავის სარეცხთან მაკაკა შენიშნა. მაიმუნი ტაშტის კიდეზე იყო მოკალათებული და ტანსაცმელს საპნიან წყალში ავლებდა. შემდეგ ისინი წყლიდან ამოიღო და ჭეჭყვა დაუწყო, მან ეს ყოველივე რამდენჯერმე გაიმეორა. ერთ მომენტში მაიმუნმა სარეცხი იატაკზე გაფინა და წურვა დაუწყო. ქალი სახლში დაიმალა და მაიმუნის ქმედებას ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, ვინაიდან, შიშობდა, რომ ცხოველს დააფრთხობდა და ის მას თავს დაესხმებოდა. მან ეს ყოველივე ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა. სარასიანმა ბოლოს მაიმუნს პურის ნაჭერი და ბანანი გადაუგდო. ცხოველმა მისი ძღვენი მიიღო და გაუჩინარდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბათუმის დინამომ ახალ სტადიონზე მოიგო, ჩიხურა მერანს გაექცა

დინამო (ბთ)-დილა 1:0

ბათუმი. ბათუმი არენა

1:0 ნიქაბაძე (68)

41-ე წუთზე ჯიღაურმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

დინამო: ალავიძე, ნავალოვსკი, კობახიძე, მელიავა, გაგოშიძე, ტეიდი, გაფრინდაშვილი (გონსალვესი 68), ჯიღაური (შერგელაშვილი 68), მანჯგალაძე, გაფრინდაშვილი, ნიქაბაძე (ცინცაძე 90)

დილა: ჩოჩიშვილი, ლაცაბიძე, ხურცილავა, ა.სანტოსი, ჩიტეიშვილი (სპანდერაშვილი 53), ეტოუ, იენდეუნტი, ცეცხლაძე (ჭანტურია 89), კოენი (ლექვთაძე 58), გაგნიძე, კოვტალიუკი

გაძევება: ტეიდი (78)

ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმის ახალ არენაზე ადგილობრივ დინამოსა და გორის დილას შორის გაიმართა. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვება ორივე გუნდისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, მასპინძლებს კი წარმატებული ნათლობაც სურდათ. გიორგი გეგუჩაძის გუნდმა მინიმალური ანგარიშით 1:0 მოიგო. ერთადერთი გოლი შეხვედრის 68-ე წუთზე გიორგი ნიქაბაძემ გაიტანა.

მანამდე მასპინძლებს ანგარიშის გასახსნელად ძალიან კარგი შანსი მიეცათ – პირველი ტაიმის ბოლოს გორელთა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ 11 მეტრიდან ჯამბულ ჯიღაურის დარტყმული ბურთი სტუმართა მეკარე გიორგი ჩოჩიშვილმა აიღო.

გაშვებული გოლის შემდეგ დილასაც ჰქონდა რამდენიმე სახიფათო მომენტი. განსაკუთრებულად აღსანიშნია 73-ე წუთზე განხორციელებული შეტევა, რა დროსაც მიხეილ ალავიძემ 3-ჯერ მოიგერია სტუმართა დარტყმები და მშრალად შეინახა კარი.

საბოლოოდ მატჩი ბათუმელთა გამარჯვებით დასრულდა და გუნდმა მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. ამ დროისთვის ბათუმის დინამოს 29 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-2 ადგილზე იმყოფება, ხოლო გორის დილა 24 ქულით მესამეა.

მერანი-ჩიხურა 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი Ე

1:0 ბოლქვაძე (4), 1:1 ბუხაიძე (53), 1:2 წიქარიძე (69)

მერანი: თევდორაძე, გაფრინდაშვილი, მახარობლიძე, გეწაძე, ფოფხაძე, გაბისკირია (შენგელიძე 90), ბოლქვაძე (გოგოლაშვილი 70), თევზაძე, დათუნაიშვილი, სარდალიშვილი, ფიფია

ჩიხურა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, კამლაძე, კაშია, გვაზავა, კახაბრიშვილი, წიქარიძე (ჯაფიაშვილი 78), ბერეზოვი, ჩიკვაიძე, ბუხაიძე (მუჯირი 82), ჯიგკაევი (ჯავაშვილი 46)

ტურის კიდევ ერთი საინტერესო მატჩში მერანმა უშუალო კონკურენტს, საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და ამჯერადაც დამარცხდა. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ორივე გუნდს 3 ქულა ესაჭიროებოდა.

გიორგი დარასელიას გუნდმა კარგად დაიწყო და უკვე მე-4 წუთზე რევაზ გეწაძის პასით დავით ბოლქვაძემ დედაქალაქური კლუბი თავურით დააწინაურა. გოლის გატანის შემდეგაც მასპინძლებმა დიდხანს ვეღარ შეძლეს აქტიურობა და ბურთის კონტროლი, მაგრამ პირველი ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მე-2 ტაიმში უფრო მობილიზებული საჩხერის ჩიხურა ჩანდა, რომელმაც 53-ე წუთზე გიორგი ბუხაიძის გოლით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 69-ე წუთზე კი თენგიზ წიქარიძემ სტუმრები სულაც წინ გაიყვანა.

ბოლო წუთები განსაკუთრებულად რთული ჩიხურასთვის გამოდგა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მასპინძლებმა ზედიზედ 2-ჯერ შექმნეს ძალიან სახიფათო მომენტი, მაგრამ საჩ-

ხერელთა მეკარე გიორგი ბეგაშვილმა ორჯერვე იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

16 ტურის შემდეგ მერანის აქტივში ისევ 6 ქულა რჩება და გუნდი ბოლო ადგილზეა. 9 ქულა მოაგროვა საჩხერის ჩიხურამ ამ დროისთვის და გათამაშების ცხრილში მე-9 პოზიციას იკავებს. თუ ვახტანგ თურმანიძის გუნდმა მერანთან 3-ქულიანი ჰანდიკაპი მომავალ ტურშიც შეინარჩუნა, ფლეი აუტში მონაწილეობას გაინაღდებს, ხოლო მერანი ლიგას დატოვებს.

საბურთალო-ტორპედო 1:0

1:0 გელიაშვილი (58)

საბურთალო: ლ.კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, ი.ტაბატაძე (ჭიჭინაძე 90), ტერა, ალთუნაშვილი (გოჩოლეიშვილი 81), ცნობილაძე, მაჭარაშვილი, ბუმალი, გულიაშვილი

ტორპედო: შოვნაძე, მირცხულავა, გიორგაძე, კასრაძე, ვ.ტაბატაძე (კვერნაძე 81), მამასახლისი, მარკოვიჩი, გრიგალაშვილი, ჯანელიძე (იონანიძე 71), ფანცულაია, ივანიშვილი (ციცქიშვილი 61)

საბურთალომ ქუთაისის ტორპედოს მიხეილ მესხის სახელობის არენაზე უმასპინძლა და ხანგრძლივი მოუგებელი სერია დაასრულა. ლევან კორღალიძის გუნდმა მეტოქე გიორგი გულიაშვილის მიერ გატანილი გოლით დაამარცხა.

უშანსოდ არც ტორპედო გამოიყურებოდა. სტუმრებმა საკმაოდ მრავლად შექმნეს სახიფათო მომენტები, მაგრამ რეალიზება ვერ მოახერხეს. ლაზარე კუპატაძემ რამდენიმე სიტუაციაში იხსნა გუნდი აშკარა გოლისგან.

თელავი-ლოკომოტივი 1:1

თელავი. ჯავასიონი არენა

0:1 სიხარულიძე (14), 1:1 მოსიაშვილი (47პ)

თელავი: სანიკიძე, თოლორდავა, მარაქველიძე, ბერიაშვილი, ძოწენიძე, ჯიქია (მოისწრაფიშვილი, 76), ჩაბრაძე, მ.ბაშელეიშვილი, ნ.ბაშელეიშვილი (რუხაძე 82), მოსიაშვილი, კვასოვი (კანდელაკი 86)

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, გურეშიძე, მჭედლიშვილი, სანდოხაძე, უბილავა, დარცმელია, შონია, იმრანი (გავაშელიშვილი 63), თ. კირკიტაძე (დ. კირკიტაძე 53), სიხარულიძე, იაკობიძე (ძებნიაური 46)

თელავმა კავკასიონი არენაზე ქულები ლოკომოტივთან გაიყო. დედაქალაქელებმა დაპირისპირება კარგად დაიწყეს და მატჩის მე-14 წუთზე ირაკლი სიხარულიძის მიერ გატანილი გოლით ანგარიშიც გახსნეს.

გაშვებული გოლის შემდეგ თელაველები ძალიან გააქტიურდნენ და სურათი მთელი თამაშის განმავლობაში არ შეცვლილა. ანგარიშის გათანაბრება რევაზ გოცირიძის გუნდმა მე-2 ტაიმის დებიუტში შეძლო – ცოტნე მოსიაშვილმა თავისივე მოპოვებული თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა. ყველა სხვა შემთხვევაში კი მასპინძლების მიერ შექმნილი უამრავი სახიფათო მომენტი სტუმართა მეკარე გიორგი მამარდაშვილმა გაანეიტრალა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	14	9	4	1	27-6	31
2.დინამო (ბთ)	14	8	5	1	24-10	29
3.დილა	16	6	6	4	23-13	24
4.საბურთალო	16	6	6	4	23-16	24
5.ლოკომოტივი	15	6	5	4	22-19	23
6.თელავი	16	3	11	2	14-12	20
7.სამგრედია	15	5	4	6	12-18	19
8.ტორპედო	14	4	4	6	13-20	16
9.ჩიხურა	16	2	3	11	16-40	9
10.მერანი	16	0	6	10	5-25	6

კორონავირუსმა ფინალი გადადო

კორონავირუსის პანდემიის გამო საქართველოს თასის ფინალი გადაიდო. წყალტუბოს სამგურალისა და გაგრას შეხვედრა 25 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ფინალის მონაწილე ერთ-ერთ გუნდში კორონავირუსის მრავალი შემთხვევის გამო მატჩის ჩატარება შეუძლებელი გახდა.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი იტყობინება, თასის ფინალი 4 დეკემბერს, 16:00 საათზე დაიწყება. თამაშის ჩატარების ადგილი უცვლელია – გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს თასის ფინალში ეროვნული ლიგა 2-ის 2 წარმომადგენელი ითამაშებს, რაც ისტორიაში პირველად მოხდება. შეგახსენებთ იმასაც, რომ სამგურალი მეორედ გავიდა საქართველოს თასის ფინალში, ხოლო გაგრამ იგივე თავის ისტორიაში მესამედ გააკეთა და ერთხელ თასიც მოიგო.

შედეგები

22 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერლიგა

ფულემი-ევერტონი 2:3
შეფილდი-ვესტ ჰემი 0:1
ლიდსი-არსენალი 0:0
ლივერპული-ლესტერი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ტოტენჰემი	9	6	2	1	21-9	20
2.ლივერპული	9	6	2	1	21-16	20
3.ჩელსი	9	5	3	1	22-10	18
4.ლესტერი	9	6	0	3	18-12	18
5.საუთჰემპტონი	8	5	1	2	16-12	16
6.ევერტონი	9	5	1	3	19-16	16
7.ასტონ ვილა	8	5	0	3	19-11	15
8.ვესტ ჰემი	9	4	2	3	15-10	14
9.კრ.პალასი	8	4	1	3	12-12	13
10.მანჩესტერი	8	4	1	3	13-14	13
11.არსენალი	9	4	1	4	9-10	13
12.ვულვზი	8	4	1	3	8-9	13
13.სიტი	8	3	3	2	10-11	12
14.ლიდსი	9	3	2	4	14-17	11
15.ნიუკასლი	9	3	2	4	10-15	11
16.ბრაიტონი	9	2	3	4	13-15	9
17.ფულემი	9	1	1	7	9-18	4
18.ვესტ ბრომვიჩი	9	0	3	6	6-18	3
19.ბარნლი	7	0	2	5	3-12	2
20.შეფილდი	9	0	1	8	4-15	1

გერმანია. ბუნდესლიგა

ფრაიბურგი-მაინცი 1:3
კიოლნი-უნიონი 1:2

სატესტინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	8	6	1	1	28-12	19
2.დორტმუნდი	8	6	0	2	20-7	18
3.ლევერკუზენი	8	5	3	0	16-9	18
4.ლაიფციგი	8	5	2	1	16-5	17
5.უნიონი	8	4	3	1	18-8	15
6.ვოლფსბურგი	8	3	5	0	9-5	14
7.გლადბახი	8	3	3	2	13-13	12
8.შტუტგარტი	8	2	5	1	16-12	11
9.ვერდერი	8	2	5	1	10-10	11
10.აუგსბურგი	8	3	2	3	10-11	11
11.აინტრახტი	8	2	5	1	11-13	11
12.ჰოფენჰაიმი	8	2	2	4	14-15	8
13.ჰერტა	8	2	1	5	15-18	7
14.ფრაიბურგი	8	1	3	4	9-19	6
15.მაინცი	8	1	1	6	10-21	4
16.არმინია	8	1	1	6	5-17	4
17.კიოლნი	8	0	3	3	8-14	3
18.შალკე	8	0	3	5	5-24	3

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ვიურცბურგერი-ჰანოვერი 2:1
ჰამბურგი-ბოხუმი 1:3
ფიურტი-რეგენსბურგი 3:1
აუე-დარმშტადი 3:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-ხეტაფე 0:0
კადისი-სოსიედადი 0:1
გრანადა-ვალიადოლიდი 1:3
ალავესი-ვალენსია 2:2

სატესტინიო ცხრილი:

1.სოსიედადი	10	7	2	1	21-4	23
2.ატლეტიკო	8	6	2	0	18-2	20
3.ვილიარეალი	10	5	4	1	14-10	19
4.რეალი	9	5	2	2	15-10	17
5.გრანადა	9	4	2	3	10-14	14
6.კადისი	10	4	2	4	8-11	14
7.სევილია	8	4	1	3	11-8	13
8.ვალენსია	10	3	3	4	17-16	12
9.ხეტაფე	9	3	3	3	8-9	12
10.ელჩე	8	3	3	2	8-9	12
11.ბეტისი	9	4	0	5	12-17	12
12.ბარსელონა	8	3	2	3	15-9	11
13.ოსასუნა	9	3	2	4	8-9	11
14.ალავესი	10	2	4	4	9-12	10
15.ეიბარი	10	2	4	4	6-9	10
16.ბილბაო	8	3	0	5	7-9	9
17.ვალიადოლიდი	10	2	3	5	10-15	9
18.ლევანტე	9	1	4	4	9-14	7
19.უესკა	10	0	7	3	8-16	7
20.სელტა	10	1	4	5	8-19	7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

საბადელი-ლას პალმასი 3:1
მალიორკა-ხიხონი 0:0
ტენერიფე-ლოგრონიესი 0:1
პონფერადინა-სარაგოსა 2:1

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-ბენევენტო 0:1
ვერონა-სასუოლო 0:2
ინტერი-ტორინო 4:2
რომა-პარმა 3:0
სამპდორია-ბოლონია 1:2
უდინეზე-ჯენოა 1:0
ნაპოლი-მილანი 1:3

სატესტინიო ცხრილი:

1.მილანი	8	6	2	0	19-8	20
2.სასუოლო	8	5	3	0	18-9	18
3.რომა	8	5	2	1	19-11	17
4.იუვენტუსი	8	4	4	0	17-6	16
5.ინტერი	8	4	3	1	20-13	15
6.ნაპოლი	8	5	0	3	16-10	14
7.ატალანტა	8	4	2	2	18-14	14
8.ლაციო	8	4	2	2	13-13	14
9.ვერონა	8	3	3	2	10-7	12
10.სამპდორია	8	3	1	4	12-13	10
11.ბოლონია	8	3	0	5	13-14	9
12.კალიარი	8	3	1	4	14-17	10
13.ბენევენტო	8	3	0	5	11-20	9
14.სპეცია	8	2	3	3	11-15	9
15.ფიორენტინა	8	2	2	4	10-13	8
16.უდინეზე	8	2	1	5	7-11	7
17.პარმა	8	1	3	4	8-16	6
18.ტორინო	8	1	2	5	14-20	5
19.ჯენოა	8	1	2	5	7-16	5
20.კროტონე	8	0	2	6	6-19	2

იტალია. სერია ბ

ასკოლი-ვირტუსი 1:1
რეჯინა-პიზა 1:2

საფრანგეთი. ლიგა 1

ნანტი-მეცი 1:1
დიჟონი-ლანსი 0:1
მონპელიე-სტრასბური 4:3
რეიმსი-ნიმი 0:1
ანჟე-ლიონი 0:1
ლილი-ლორიანი 4:0

სატესტინიო ცხრილი:

1.პსჟ	11	8	0	3	28-6	24
2.ლილი	11	6	4	1	20-7	22
3.ლიონი	11	5	5	1	18-10	20
4.მონაკო	11	6	2	3	20-16	20
5.მონპელიე	11	6	2	3	20-16	20
6.მარსელი	9	5	3	1	12-8	18
7.რენი	11	5	3	3	18-15	18
8.ნიცა	10	5	2	3	15-12	17
9.ლანსი	9	5	2	2	15-14	17
10.მეცი	11	4	4	3	12-9	16
11.ანჟე	11	5	1	5	15-21	16
12.ბორდო	11	4	3	4	10-11	15
13.ბრესტი	11	5	0	6	19-23	15
14.ნანტი	10	3	3	4	12-14	12
15.ნიმი	11	3	2	6	11-19	11
16.სტ.ეტიენი	11	3	1	7	11-19	10
17.რეიმსი	11	2	3	6	16-19	9
18.ლორიანი	11	2	2	7	12-21	8
19.სტრასბური	11	2	0	9	13-23	6
20.დიჟონი	11	0	4	6	5-20	4

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

აიაქსი-ერაკლესი 5:0
სპარტა-დენ ჰაგი 6:0
სიტარდი-ფეინოორდი 1:3
ვალვაიკი-ჰერენვენი 1:1
ტვენტე-პსვ 1:1
ალკმაარი-ემენი 1:0

ხუსეთი. პრემიერლიგა

ცსკა-სოჭი 1:1
როტორი-ურალი 0:0
რუბინი-როსტოვი 0:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

რეინჯერსი-აბერდინი 4:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

აუსტრია-სტ.პოლენი 1:1
ტიროლი-ადმირა 3:0
რიდი-რაპიდი 4:3

ბელგია. ა დივიზიონი

ბეერსხოტი-ანდერლეხტი 2:1
ვარეგემი-მეხელენი 1:2
შარლერუა-გენტი 0:1
გენკი-მუსკრონი 4:1

შვეიცარია. სუპერლიგა

სტ.გალენი-ლოზანა 2:2
სერვეტი-ლუგანო 1:1
სიონი-ციურიხი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

აეკი-ლარისა 4:1
პანეთოლიკოსი-არისი 0:1
პაოკი-იანინა 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ხატაი-რიზე 2:2
გიოზთეფე-ანკარაგიუჯიუ 3:1
ქონია-ქაშიმფაშა 2:1
ანთალია-ალანია 0:2
ტრაბზონი-ერზრუმი 1:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბრნო-პრჟიბრჟამი 1:1
ზლინი-პლზენი 1:0
სპარტა-ჩესკე 2:4

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ლეხი-ჩენსტოხოვა 3:3
კრაკოვია-ლეგია 0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მინაი-დნიპრო 3:2
დესნა-ლვოვი 0:1
ვორსკლა-კოლოსი 3:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-სონდერიისკე 1:1
ოლბორგი-ნორდსიელანდი 1:1
ორხუსი-მიდტიულანდი 1:2
ვეილე-ბრონდბიუ 0:2

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-იორეგრო 0:2
კალმარი-დიურგარდენი 0:3
ელფსბორგი-ჰელსინბორგი 2:1
ჰამარბი-მალმიო 2:2
ესტერსტუნდი-ვარბერგი 0:4

ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნდი-მონდალენი 1:0
სარპსბორგი-ვიკინგი 1:2
ოდ გრელანდი-სტარტი 1:2
ჰაუგესუნდი-სანდერფიორდი 3:2
სტრომგოსეტი-ბოდო გლიმდტი .. 1:2

ჩოგბურთი

შემაჯამებელი ტურნირი

ფინალი

მედვედევი-ტიმი 4:6,7:6,6:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 2. ყვითელი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 3. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 4. ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 6. უნგრული წვნიანი კერძი; 9. ლირიკული სიუჟეტის ზანგური სასიმღერო-საცეკვაო მუსიკა; 11. უბანი ძველ თბილისში; 15. დედამიწის მტკიცე გარსი; 16. აქლემის, ცხენის რძისგან მომზადებული სასმელი; 17. მსოფლიოში ყველაზე დიდი მოპოვებული ალმასი; 19. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 21. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 22. ახალციხის ისტორიული ნაწილი.

თარაზულად: 5. მოჭიქული და ნახატით შემკული გამომწვარი თიხის ნაწარმი; 7. ძალიან იშვიათი ნივთი; 8. აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 12. „ლივერპულის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 13. ჩინური ფინიკი; 14. სპარსელ დამპყრობთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 18. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 20. ნიადაგის ზედა, ნოყიერი ფენა; 23. გოეთეს ტრაგედია; 24. მდინარე კახეთში; 25. ფრანგი კინორეჟისორი; 26. ისტორიული სამთავრო მესხეთში; 27. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თურნავა; 2. გეიზერი; 3. დისკუსია; 4. ბულონი; 5. მანდილი; 8. პირუეტი; 9. შერატონი; 12. ტრაპეცია; 13. აგეგზია; 16. ბასტილია; 17. სარდელი; 19. ტეხური; 20. ფერაძე.

თარაზულად: 6. გუტიერესი; 7. შუცმანი; 8. პიკასო; 10. ბარიერი; 11. ეირე; 14. ფაგოციტი; 15. სანთიობო; 18. დალესი; 21. ემისარი; 22. მენჯი; 23. იშხანი; 24. ჯამბაზები.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ობლიგო; 2. ლაციო; 3. გრივნა; 4. დარიკო; 6. პოდიუმი; 9. მალტა; 11. ველვეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისიპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. ბებუთი.

თარაზულად: 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ორბანი; 10. მაშტოცი; 12. კანიო; 13. ელესა; 14. კატეხიზმო; 18. ლავრა; 20. ტანინი; 23. ლეკალო; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. თუჯი; 27. ინდოეთი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3073

ევრო — 3.9215

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3918

100 რუსული რუბლი — 4.3481

ამინდის პროგნოზი 24 ნოემბრისათვის

„მასტერშეფმა“ ფინალისტები დაასახელა

კულინარიულმა შოუ „მასტერშეფმა“ ფინალისტები დაასახელა. შერჩეული 5 ნახევარფინალისტიდან დავალებას ორმა მათგანმა ვერ გაართვა თავი და შოუს გამოეთიშა.

პირველი დავალება ყველაზე ცუდად სოლომონმა შეასრულა და პროექტი დატოვა, მეორე დავალება კი ყველაზე ცუდად დავითმა შეასრულა, ამიტომ ისიც შოუს მიღმა აღმოჩნდა.

„მასტერშეფის“ ფინალისტები გახდნენ ლუკა, ირაკლი და მირიანი. მათ შორის გამარჯვებულის ვინაობას მომავალ კვირას შევიტყობთ. საუკეთესოს გადაცემა „მასტერშეფის“ მთავარი პრიზი და ბინა კრწანისი ვილა რეზიდენსში.

ლელა წურწუმიამ და მერაბ სეფაშვილმა დუეტი ჩაწერეს

მომღერლებმა ლელა წურწუმიამ და მერაბ სეფაშვილმა „ბრავო რეკორდსში“ დუეტი ჩაწერეს.

ინფორმაცია ხმის ჩამწერი სტუდიის ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ გაავრცელა:

– კოვიდპანდემიის მიუხედავად, „ბრავო რეკორდსი“ არ წყვეტს მუშაობას. ამჯერად ქართველმა პოპდივამ ლელა წურწუმიამ და ყველასათვის საყვარელმა მომღერალმა მერაბ სეფაშვილმა გია მაჭარაშვილის ცნობილი სიმღერის განახლებული ვერსია ჩაწერეს, რომლის სახელწოდებაა „ნისლის ფერი“. სიმღერაზე მუშაობის პარალელურად, მიმდინარეობდა ჩაწერის პროცესის გადაღება. სიმღერისა და ვიდეოს პრემიერა ძალიან მალე ლელას იუთუბის არხზე შედგება. იდეის ავტორი კახი მამულაშვილი, იგივე მამულიჩაა, არანჟირების ავტორი – ბენდი „ნონ-სტოპი“, ჩაწერა, მიქსინგი და მასტერინგი ალეკო ბერძენიშვილს ეკუთვნის, ვიდეოს რეჟისორი კი ბესო ლიფონავაა.

ხუმრობა

...

ქორწილში რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ სტუმარს მომსახურე გოგონა მოეწონა და კითხულობს:

– ვისია აი გოგონა?

არავინ უპასუხა, კიდევ ორი ჭიქა დალია და ისევ კითხულობს:

– ვისია აი გოგონა?

ისევ არავინ უპასუხა. ცოტა კიდევ დალია და ისევ კითხულობს:

– ვისია აი გოგონა?

არავინ პასუხობს. გაბრაზებული ამბობს:

– ახლა, რომ ავდგე და ვიხმარო, ხომ წამსვე გამოუჩნდება პატრონი!

...

მსუქანი ქალი საკონდიტროში კითხულობს:

– რა გაქვთ უცხიმო და უშაქრო?

– ხელსახოცი.

...

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, რატომ თამაშობენ ასე ცუდად ჩვენი ფეხბურთელები?

– იმიტომ, რომ მათმა მარცხენა ფეხმა არ იცის, რას აკეთებს მათი მარჯვენა ფეხი.

...

ვეზირი ხელმწიფეს ეახლა და ეუბნება:

– მეფეო, გველეშაპს მოშივდა!

– რას ჭამს?

– ქალწულებს.

– ჰოო, საცოდავი ცხოველი, მოკვდება შიმშილით...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კლოპი: „ლივერპულს ნებისმიერი პრობლემის დაძლევა შეუძლია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ლესტერთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ მის გუნდს ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლია გამოსავლის პოვნა და ტრავმები თამაშის ხარისხზე გავლენას არ ახდენს. კლოპის აზრით, ახალ ფეხბურთელებს მეტი შანსი აქვთ, თავიანთი შესაძლებლობები აჩვენონ:

– ტრავმები ყოველთვის პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ, რომ, მიუხედავად ამისა, ლივერპულს მაინც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში და დაბრკოლებები ვერ შეგვაჩერებს.

პიკე მინიმუმ 3 თვე ვერ ითამაშებს

ბარსელონის ცენტრალური მცველი ჟერარ პიკე მინიმუმ 3 თვის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს, რადგან მას მუხლზე სერიოზული პრობლემები აქვს. შესაძლოა, პიკეს ოპერაციაც დასჭირდეს და ამ შემთხვევაში გაცილებით მეტი დროის გამოტოვება მოუწევს.

პიკეს მუხლი რამდენიმე წლის წინაც აწუხებდა, მაგრამ მაშინ ოპერაცია არ დასჭირდა და მოედანზე ერთი თვის მერე დაბრუნდა.

ამჯერად საქმე უფრო სერიოზულად არის და ბარსელონას პიკეს გარეშე თამაში მოუწევს.

ფედე ვალვერდე 1 თვე იუქმებს

მადრიდის რეალის ურუგვაელი ნახევარმცველი ფედე ვალვერდე ერთი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. თავდაპირველად მისი ტრავმა უფრო მსუბუქი ჩანდა, მაგრამ გამოკვლევების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ვალვერდეს უფრო მეტი დრო სჭირდება, რათა ბოლომდე გამოჯანმრთელდეს. ვალვერდეს არყოფნა რეალისთვის დანაკლისი იქნება, რადგან ის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დათვმა მანქანის მინა ჩაამსხვრია და იქ მყოფნი შეაშინა

ჩინეთის ხაინანის პროვინციაში მდებარე საფარი-პარკში ჰიმალაიური დათვი ტურისტების მანქანაზე შეხტა, მისი საქარე მინა ჩაამსხვრია და იქ მყოფები პანიკაში ჩააგდო. ცხოველი ავტომობილის კაპოტზე შეხტა და მის სახურავზე ასვლას ცდილობდა. მისი სიმძიმისგან საქარე მინა გასკდა, ხოლო კაპოტზე უამრავი ნაკაწრები დარჩა. მაქანის სალონში ამ დროს შეშინებული ბავშვი ატირდა. პარკის თანამშრომლებს რამდენიმე წამი დასჭირდათ შემთხვევის ადგილამდე მისასვლელად და ცხოველის გასაგდებად. საფარი-პარკის ხელმძღვანელობა მანქანისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების პირობას დებს.

ახალი დეკოლტე 2020 წლის მოდურ მიმდინარეობად იქცა



ახალი სახის ღრმა დეკოლტე 2020 წლის მოდურ მიმდინარეობად იქცა. სოციალურ ქსელებში განთავსებულმა ცნობილი ქალბატონების ფოტოსურათებმა და საზოგადოებაში გამოჩენამ ასეთი დეკოლტეთი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

საუბარია კაბებზე მკერდის მიდამოში გაკეთებულ ასიმეტრიულ ჩანაჭრებზე, რომელსაც სოციალურ ქსელებში „ცარიელი სივრცე“ შეარქვეს. ამავე დროს. ინტერნეტმომხმარებლების მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ უჩვეულო დეკოლტე ისე გამოიყურება, თითქოს კაბას ქსოვილის ნაწილი აახიეს.

აღსანიშნავია, რომ კაბები, ბოდი და კომბინეზონები ამგვარი დეკოლტეებით დამშვენებული გამოჩნდა ისეთი მოდის სახლების ასორტიმენტში, როგორებიცაა: Mugler, Khaite, Saint Lauren, Recto და God Save Queens. მაგალითად, ნიუ იორკში გამართულ მოდის კვირეულზე LaQuan Smith-ის ბრენდის ჩვენებაზე მოდელები ახალი სახის დეკოლტეთი დამშვენებული კომბინეზონებით გამოვიდნენ.

მიშა მდინარაძე: „გაყიდულ ხელოვანზე უფრო გულის ამრევი ძნელად წარმოიდგენია“

კომპოზიტორი მიშა მდინარაძე მიიჩნევს, რომ გაყიდულ ხელოვანზე უფრო გულის ამრევი არაფერია:

– გაყიდული ყველა ამაზრზენია, მაგრამ გაყიდულ ხელოვანზე უფრო გულის ამრევი ძნელად წარმოიდგენია. თქვენი ხელოვნება ისეთივე დაკარგული და ყალბია, როგორიც თქვენ თავად, რაც არ უნდა დამსახურებულები იყოთ ან გეგონოთ, რომ ხართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



24 ნოემბრისათვის

ვერძი – ნებისმიერი საქმის მოგვარებისას დეტალებს ყურადღება მიაქციეთ. სიფიცხე და მოუთმენლობა უსიამოვნებამდე მიგიყვანთ. **ჯარო** – დღეს შესაძლოა რჩევისათვის მოგმართონ. თქვენი პირადი გამოცდილების გაზიარება დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვისაც ეს სჭირდება. **ტყუპები** – საქმიანი მოლაპარაკებები შეგიძლიათ დღესვე დაიწყოთ. პარტნიორული ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება. **კირჩხიბი** – საეჭვო საქმეებში ჩარევისაგან თავი შეიკავეთ. დღეს შეძლებთ, ფორტუნა თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. **ლომი** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა უსიამოვნებაში გაგხვევთ. დაგროვილი პრობლემები დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. **ქალწული** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციები მოთოკეთ. მოვლენების არსს ახლებურად შეხედეთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გარშემომყოფების დარწმუნებას იოლად შეძლებთ და მათ თქვენ მიმართ ნდობით განაწყობთ. **ღრიანკალი** – ჩანაფიქრის რეალიზება გაგიძნელდებათ. ნუ გარისკავთ და ნუ იაქტიურებთ. **მშვილდოსანი** – გაღიზიანებული და განერვიულებული ხართ. იფრთხილეთ და ემოციების გამოვლენისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **თხის რქა** – მეტისმეტი აქტიურობა რეკომენდებული არ არის. გარშემომყოფებს ნუ გააღიზიანებთ. მხოლოდ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულეთ. **მერწყული** – არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თქვენი დახმარება და თანაგრძნობა სჭირდებათ. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, საგზაურად წასასვლელად. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაუფიქრებელ და სპონტანურ გადაწყვეტილებას დღეს ცუდი შედეგი მოჰყვება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სტუდენტი გოგონები საქველმოქმედო კალენდრისთვის გაშიშვლდნენ

კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქველმოქმედო კალენდრისთვის დედიშობილებმა გადაიღეს ფოტოსურათები. ფოტოგადაღებებში ცურვაში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, წყალბურთსა და სპორტის სხვა სახეობების უნივერსიტეტის გუნდების წევრებმა მიიღეს მონაწილეობა. ფოტოსურათებზე შიშველი სტუდენტები ინტიმურ ადგილებს ბურთებით, სატყორცნი შუბებით, ბოტასებით და თასებით იფარავენ. კალენდრის ფასი 10 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. მისი გაყიდვით მიღებული შემოსავალი ჰუმანიტარულ ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშე“ გადაეცემა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. შინაური ფრინველი; 2. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში; 3. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ნაციონალური ცენტრი; 4. მთვარიანი ღამე; 5. შინაური კურდღელი; 8. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 9. უდიდესი ბუნებრივი ნაკრძალი აშშ-ში; 12. უეფას პრეზიდენტი; 13. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 16. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 17. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 19. ისტორიული ციხესიმაგრე მესხეთში; 20. ბალერინას სპეციალური ფეხსაცმელი.

თარაზულად: 6. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი მოვაჭრე; 7. რძის შაქარი; 8. რაიონული ცენტრი სვანეთში; 10. ძრავა, რომელიც აირის, წყლის ენერგიას მექანიკურ ენერგიად გარდაქმნის; 11. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 14. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 15. თაღლითი, მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 18. რაიმე დარგის, მეცნიერების ზოგადი, განყენებული საფუძვლები; 21. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 22. საქართველოს ზღვისპირეთში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 23. ისრაელის სახელმწიფო ენა; 24. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა